

ახადგაზრდა ადვოკატები

ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა

KNOW JUSTICE
KNOW PEACE



წელი
საზოგადოებისთვის

არის სამართლიანობა, არის მშვიდობა!

„ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის საქმიანობის ანგარიში



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი - ხელმძღვანელი
მარიკა არევაძე - სადამფუძნებლო საბჭოს წევრი
გიორგი ზოიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
რუსლან ალექსიძე - მთავარი იურისტი
მარიამ ფირცხალაიშვილი - სამართლის სპეციალისტი
ია გომნაძე - სამართლის სპეციალისტი
გიორგი ლაბაძე - საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი
მარიამ ხიზანიშვილი - ფინანსური მენეჯერი
ანა კიკნაძე - მრჩეველთა საბჭო
ბექა ჯავახიშვილი - მრჩეველთა საბჭო

საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის მოედანი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №12
ორგანიზაციის ტელეფონი: (995 32) 295 35 18, 599 291202

Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
www.barristers.ge



ძვირფასო მეგობრებო,

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 5 წელია სამოგადოებრივ-სთვის საქმიანობს. ჩვენი პროფესიის მთავარი ღირსება დამოუკიდებლობაა. მხოლოდ დამოუკიდებელ და თავის უფალ სამოგადოებას შეუძლია შექმნას განვითარებული ქვეყანა და მიაღწიოს ადამიანის უფლებების დაცვას. ორგანიზაციის მთავარი ღირებულებებიც სწორედ ღირსებას, თავისუფლებას და თანასწორობის პრინციპებს ეფუძნება. სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიული პროცესის მთავარი საზომი, ყველა ამ ღირებულების მატარებელ ქვეყანაში, სამოქალაქო სამოგადოების მისწრაფებები და ხედვებია. საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, სამოგადოებრივი აზრის ფორმირების ასეთი მისია არასამთავრობო სექტორმა ანუ როგორც მას ჩვენში ვუწოდებთ, მესამე სექტორმა იტვირთა. სამოგადოება ნაკლებად ენდობა მესამე სექტორს. ამას აქვს თავისი კონკრეტული მიზეზები და არგუმენტები. საქართველოში დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი დეფიციტია. „ჩვენ ან ერთი ჯგუფის ინტერესებს გამოვხატავთ ან მეორე ჯგუფის მითითებებს“ ვასრულებთ. სამოგადოებრივი ინტერესების სახელით, სამართლიანობას, კანონის უზენაესობასა და ობიექტურობის სამომ კრიტერიუმებს, ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს არა ავტორიტეტები, არამედ ფული. ამიტომაც, სახელმწიფოს სწორი ფუნქციონირებისთვის, მნიშვნელოვანია მესამე სექტორი აღმოჩნდეს საერთო სამოგადოებრივი ინტერესების დამცველი და გამომხატველი, არ მოხდეს სექტორის ხელოვნური სეგრეგაცია, მესამე სექტორი რეალურად გახდეს ქვეყნის ეროვნული ინტერესებსა და დემოკრატიული პროცესებზე პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული ხალხის წინაშე.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თავისი განვლილი საქმიანობით, საჯარო პოზიციით და პრიორიტეტებით, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენ არ გამოვხატავთ არც ერთი დაინტერესებული ჯგუფის ინტერესებს, ვინაიდან ჩვენი მატერიალური და არამატერიალური დოვლათი იქმნება ჩვენი პროფესიიდან მიღებული სიკეთებით. ჩვენ ვგრძნობთ ანგარიშვალდებულებას სამოგადოების წინაშე და პასუხისმგებლობას - პროფესიის წინაშე. დაფუძნების დღიდან ახლაც და მომავალშიც, ჩვენი მთავარი სამრუნავი იქნება - ადამიანი, მისი უფლება და ინტერესები. საქართველოში ადამიანის უფლებებს არღვევს ყველა - სახელმწიფო, კერძო სექტორი, საფინანსო ინსტიტუტები, კეთილშესოფელი ინვესტორები. დამოუკიდებლობისა და მეტი თავისუფლების პრობლემებია სასამართლო სისტემაში, რომელსაც გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნისთვის, აკისრია მთავარი მამოძრავებელი ფუნქცია - მიიღოს პოლიტიკური ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები და სამოგადოებაში შექმნას სამართლიანობისა და კანონის წინაშე ყველას თანაბრობის მოლოდინები. ჩვენ ამას ყველაზე მეტად ვგრძნობთ და ვაკვირდებით. ჩვენ ვხედავთ, რომ სამოგადოებას ნდობა მთავარი ინსტიტუციების მიმართ, თანდათან უკრება. ჩვენ ვხედავთ, რომ სამართლიანობის განცდის გარეშე, არც ქვეყანას, არც სამოგადოებას და არც ერთ დაჩაგრულ ინდივიდს, ღირსეული მომავალი არ გააჩნია.

სამართლიანობა მშვიდობის საფუძველია, სამოგადოების კეთილდღეობაც და განვითარებაც სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარეობს. ორგანიზაცია თავისი საწესდებო მიზნებითა და ამოცანებით, მოქმედი და მომავალი გუნდის, ჩვენი თაობის საუკეთესო ახალგაზრდა



ინტელექტუალებთან ერთად, ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების მიმართვას ისევე ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი სამოგადოების უკეთესი გარემოსთვის ვაპირებთ. ჩვენ გვაქვს მოტივაცია, საქართველო დამსახურებულად გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, საქართველო გაუფრთხილდეს თავის წარსულსა და მომავალს, ადამიანებს ჰქონდეთ ცხოვრების ღირსეული პირობები, არც ერთი მოქალაქე თავს დაუცველად და სოციალური უთანასწორობის მსხვერპლად, სახელმწიფოს მხრიდან არ გრძნობდეს.


„No Justice, No Peace“ - ეს გენიალური შეძახილი დღეს თანამედროვე კაცობრიობის მნიშვნელოვანი გამოწვევა და საკითხია. სამართლიანობა ის მაღალი ღირებულება, რომელსაც ვემსახურებოდით და მომავალშიც იქნება ჩვენი პროფესიისა და საქმიანობის აუცილებელი პირობა. მაღლობა ჩვენი ორგანიზაციის ყველა თაობას, რომლებიც ამ შეხედულებებით, მრწამსით და შეგნებით საქმიანობდნენ და დღესაც აგრძელებენ ამ ღირებულებების განუხრელად დაცვას. სწორედ ასეთ თაობაზე დგას პროფესიის მომავალიც და ქვეყნის სწორი განვითარებაც. ამ თაობას სჭირდება შანსი იმისთვის, რომ დაბრუნდნენ სამშობლოში ან სამშობლოდან წასვლის სურვილის გარეშე, ემსახურონ საქართველოს. საქართველო იმსახურებს უკეთესს - 2018 წელს გილოცავთ, მეგობრებო!

არჩილ კაიკაძეშვილი,

ორგანიზაციის ხელმძღვანელი
28 დეკემბერი, 2017



არჩილ კაკაჩიშვილი
ხელმძღვანელი



გიორგი შოლიკა
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი



ია გოგინაძე
სამართლის სპეციალისტი



მარიამ ხიზანიშვილი
ფინანსური მენეჯერი

2017 წელი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ შემოქმედებითად აქტიური და ნაყოფიერი აღმოჩნდა. აღნიშნულს ადასტურებს ორგანიზაციის მხრიდან, წლის განმავლობაში ორგანიზებული ღონისძიებები, შეხვედრები, მომზადებული კვლევები, მონიტორინგები და სარეკომენდაციო წინადადებები, განხორციელებული პროექტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობა, სამოქალაქო ჩართულობა, მოქალაქეთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა თუ სხვა.

2017 წლის განმავლობაში, ორგანიზაციის მიერ ჩატარდა 33 პრესკონფერენცია, ორგანიზაციის სახელით გავრცელდა 150-ზე მეტი საჯარო პოზიცია-განცხადება, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობის ნაწილში, ორგანიზაცია წარმოდგენილი იქნა 20-ზე მეტ შეხვედრასა და სადისკუსიო მაგიდასთან, მთავრობის, ცალკეული სამინისტროების თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ, მომზადდა 5-ზე მეტი სარეკომენდაციო ხასიათის წინადადება, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის შეფასების კუთხით, მომზადდა 10-მდე დასკვნა, 2017 წელს ორგანიზაციამ განახორციელა და დაასრულა 1 პროექტი, სამართლიანობის აღდგენის საკითხზე გამართა 2 კონფერენცია, 1 მედია-ფორუმი და მოსახლეობის ინფორმირებულობის მიმართულებით 1 სამოქალაქო კამპანია, სისტემური დანაშაულების საქმეებზე მოამზადა და გამოსცა 2 კვლევა, მოამზადა და გამოსცა 1 სამართლებრივი ანალიზი, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა 1 საკანონმდებლო წინადადება, მიგრაციის საკითხებზე მოამზადა 2 რეგიონალური შეხვედრა, გამოსცა 2 სამეცნიერო ჟურნალი. ამასთან, ორგანიზაციამ საქართველოს პარლამენტს იუსტიციის საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის, ხოლო მოსამართლეთა დისციპლინური კოლეგიის წევრად ქეთევან ბექაური წარუდგინა. პარლამენტმა შოთა ქადაგიძეს მხარდაჭერა გამოუცხადა, ქეთევან ბექაურის კანდიდატურა კი, განხილვის პროცესშია. ამასთან, ორგანიზაცია აქტიური იყო პროფესიული წარდგენების კუთხითაც. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატად დავასახელებთ დავით ასათიანის კანდიდატურა, რომელიც 2017 წლის 23 დეკემბერს კორპუსმა გილდიის თავმჯდომარედ აირჩია. განვახორციელეთ სადამ-

კვირებლო უფლებამოსილება საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არჩევნებზე. ორგანიზაცია გახდა 10-მდე ინიციატივის მხარდამჭერი და პარტნიორი.

2017 წლის მანძილზე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადამიანის უფლებების დაცვისა და ადვოკატირების მიმართულებით სამართლის ჯგუფი. ჩვენი უფასო იურიდიული კონსულტაცია მიიღო 100-ზე მეტმა მოქალაქემ, მიმართვიანობა იყო, როგორც თბილისიდან და საქართველოს რეგიონებიდან, ასევე საზღვარგარეთიდან. მიმდინარე წლის მანძილზე, ორგანიზაციამ არაერთ საქმეზე გამოიყენა Pro Bono და დავები დაასრულა მნიშვნელოვანი წარმატებით. ამ წელს, ორგანიზაციას მოქალაქეები ყველაზე მეტად მომართავდნენ უძრავი ქონების, სახელშეკრულებო, შრომით-სამართლებრივი, საოჯახო, მემკვიდრეობითი, სამართლიდან წარმოშობილი დავების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, მნიშვნელოვანი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.

2017 წელს, მაღალი იყო ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მიმართულების მაჩვენებელიც. ორგანიზაციამ წლის განმავლობაში უზრუნველყო 562 კორესპონდენციის გაგზავნა, სხვადასხვა უწყების მხრიდან მიიღო 200-ზე მეტი გამოხმაურება. აქტიური კომუნიკაცია მომზადდა მსოფლიოს 18 საერთაშორისო ორგანიზაციასთან და სამთავრობო უწყებასთან. მაღალი იყო ორგანიზაციის საქმიანობის მიმართ მედიის ინტერესი.

2017 წლის განმავლობაში, ორგანიზაციის წარმომადგენლები, 144-ჯერ იქნენ წარმოდგენილი სხვადასხვა არხზე მომზადებულ სიუჟეტებსა თუ ღია ეთერებში, 10-ჯერ რადიოს ღია ეთერებში, პრესამ 38-ჯერ დაბეჭდა ორგანიზაციის აღმასრულებელ გუნდთან ინტერვიუ და მოახდინა ორგანიზაციის საქმიანობის გაშუქება. რაც შეეხება ელექტრონულ მედიას, კერძოდ, ახალი ამბების სააგენტოებს, ორგანიზაციის საქმიანობაზე განთავსდა 500-ზე მეტი ინფორმაცია, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია, განვლილი წლების მიხედვით.



მარიამ არაშვაძე
სადამფუძნებლო საბჭოს წევრი



რუსლან ალქასიძე
მთავარი იურისტი



მარიამ ჯირცხალაშვილი
სამართლის სპეციალისტი



გიორგი ლაბაძე
საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი



მთელი წელი საზოგადოებისთვის

იანვარი, 2017 – ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მონიტორინგის შედეგები საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემაში მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების ოდენობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოსამართლეების საცხოვრებელი ქირისთვის დაიხარჯა 1 მილიონ 48 ათას 141 ლარი, ხოლო მხოლოდ 2016 წლის მანძილზე, ხარჯმა შეადგინა 190 091 ათასი ლარი. შესწავლილ იქნა საერთო სასამართლოების სისტემაში დასაქმებული იმ მოსამართლეების ხარჯები, რომლებიც უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭიროებენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას. ორგანიზაციამ ორი რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს: საქართველოს იმ ქალაქებში, რომელთა გეოგრაფიული არეალი საკმაოდ დიდია და შესაბამისად, 10-ზე მეტი მოსამართლის უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, მათი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველსაყოფად განხორციელდეს მოსამართლეთა კამპუსის მშენებლობა. ეს იქნება სახელმწიფოს მხრიდან ერთჯერადად გაღებული თანხა, რომელიც მიმართული იქნება დანახარჯების ეფექტური მართვის, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობისა და დანახარ-

ჯების შემცირების გრძელვადიან პერსპექტივაზე და თვითმმართველ ქალაქებში შეძენილ იქნეს საცხოვრებელი ფართები, რომლებიც რეგისტრირდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე, დროებით სარგებლობაში გადაეცემა მოსამართლეებს და აღნიშნულ რეგიონებში გამწესებულ მომავალ მოსამართლეებსაც საშუალება ექნებათ ისარგებლონ სოციალური გარანტიებით.

თებერვალი, 2017 – ორგანიზაციამ შეაფასა საქართველოსთვის ევროპაში უვიზო მიმოსვლის გადანაცვეტილება (მინიჭება). ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ეს ფაქტი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური რეფორმების შედეგია. გადანაცვეტილება მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას, განახორციელოს შემდგომი ინსტიტუციური რეფორმები და უზრუნველყოს ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მართლმსაჯულება. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს კრიმინალთან ბრძოლის პოლიტიკის გაუმჯობესებაზეც იმდენად, რამდენადაც ევროკავშირის წევრ თუ პარტნიორ სახელმწიფოში, საქართველოს მოქალაქის მიერ ჩადენილი დანაშაული თუ დანაშაულში თანამონაწილეობა, შესაბამისი რეგულაციებით მკაცრად გაკონტროლდეს და ამ



მთელი წელი საზოგადოებისთვის

მიმართულებით, არსებობდეს მკაცრი დათქმები საქართველოს მოქალაქეების მიმართ, რაც საერთო ჯამში, ქვეყნის რეპუტაციისა და იმიჯის საკითხია.

ორგანიზაციამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ეხება მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების დაზუსტებას. კანონპროექტის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფოს საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, მოსამართლეების მიმართ საცხოვრებელი ფართების გადაცემა დროებით სარგებლობაში, მოსამართლედ საქმიანობის ვადით. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ არაფულადი სახის შეღავათებით მოსამართლეთა უზრუნველყოფამ შესაძლოა ხელყოს მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხი. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეები გადაწყდეს მიკერძოებულად, რაც უშუალოდ ეწინააღმდეგება სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპს. ამასთან, ორგანიზაციამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტუდენტთა დაფინანსების წესზე წარუდგინა ალტერნატიული წინადადებები და აღნიშნა, რომ უნდა დამდგარიყო სამართლიანი ბალანსი სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებასა და გრანტის ფლობის მიზნობრიობას შორის.

მარტი, 2017 – ორგანიზაცია გამოეხმაურა 11–12 მარტს აჭარის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს და ფაქტზე სამართლებრივი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური დიალოგის უზრუნველყოფა მოითხოვა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ უნდა დადგენილიყო ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის სოციალური მიზეზები, სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცემოდა განხორციელებულ ქმედებებს და გამოკვეთილიყო პოლიტიკურ პასუხისმგებლობა ხელისუფლებას, საპარლამენტო უმცირესობასა და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა შორის. ორგანიზაციის პოზიციას წარმოადგენდა საგამოძიებო მოქმედებების დაჩქარება და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვით, პასუხისგებაში ყველა მოქალაქის პასუხისგებაში მიცემა, რომელმაც მოსახლეობის გამოხატვის თავისუფლება საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს და უშუალოდ განახორციელეს მშვიდობიანი პროტესტის ძალადობრივი გზით განვითარება.

ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფასა და სამართალწარმოების მაჩვენებლებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის სამინისტროების საქმიანობის მონიტორინგის შედეგები წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც, შესწავლილი მთავრობის სამინისტროებში, საერთო მონაცემით, 2016 წელს, მოქა-



მთელი წელი საზოგადოებისთვის

ლაქების მიერ მოთხოვნილ იქნა 21,181 საჯარო ინფორმაცია. სამინისტროებმა ყველა მოქალაქის მომართვას უპასუხეს. წარმოდგენილი მონაცემებით, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ეთქვა 2489 განცხადებას, დარეგისტრირებულ იქნა 457 ადმინისტრაციული საჩივარი, ხოლო მთავრობის სამინისტროებმა, 2016 წელს, საერთო სასამართლოებში წარმომადგენლობა განახორციელეს, სულ 1776 საქმეზე.

აპრილი, 2017 – ორგანიზაციამ წარმოადგინა შეფასებები დოკუმენტზე: „სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის“. საერთო სასამართლოებში პრობლემურ საკითხად რჩება შემდეგი ფაქტების არსებობა: სამართალწარმოების ვადების დარღვევა, მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პროცესის მონაწილე მხარეების მიმართ მიწოდება. გახშირებულია პრაქტიკა, როდესაც გადაწყვეტილებები მიღებულია, თუმცა გადაწყვეტილებები მხარეებს მიღებიდან 4-5 თვის შემდგომ ბარდებათ. მიზეზი გახლავთ გადაწყვეტილებების მოუმზადებლობა. სასამართლოებში მისასალმებელია საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის შემოტანა, თუმცა ვიდრე აღნიშნული სისტემა პილოტური იქნება და სრულად გავრცელდება, ერთ-ერთ მძიმე პრობლემად დგას საკითხი –

საქმეები, რომლებიც სისტემური დანაშაულის ნიშნებს ატარებს, როდესაც მხარეებმა შეძლეს მათზე სამართალწარმოების განახლება, დღეს ასეთ საქმეებს კვლავ ის მოსამართლეები განიხილავენ, რომლებსაც ასეთ გადაწყვეტილებებში ხელი ურევიათ. არ ხდება თვითაქცილების ინსტიტუტის ამოქმედება, ხოლო როდესაც ასეთი მოსამართლეების საქმეებიდან აცილებას მხარეები მოითხოვენ, ხშირ შემთხვევაში, მოთხოვნები არ კმაყოფილდება. არაეფექტურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეაგირება მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე. როდესაც საბჭოში რეგისტრირებულია მოსამართლეთა სავარაუდო კორუფციის ჩადენის ფაქტები, არ ხდება მათი განხილვა. გვაქვს პრაქტიკა, როდესაც საბჭოდან ვიღებთ წერილებს, სადაც საუბარია, რომ საჩივრების 1-წლიანი ვადის გასვლის შემდგომ, განცხადებები განუხილველი რჩება. აღნიშნული წარმოადგენს გამოწვევას და უდიდეს პრობლემას, რაც სათანადო რეაგირებას მოითხოვს.

მაისი, 2017 – ორგანიზაცია გამოეხმაურა სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენებს და ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციის ნებისმიერი მცდელობა



მთელი წელი საზოგადოებისთვის

დაუშვებლად მიიჩნია. საუბარია გახლდათ ინიციატივაზე, რომლითაც სასამართლოს კრიტიკა შესაძლებელია დასჯადი გამხდარიყო. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელთა პოზიციები არ იყო თანხვედრი, ერთიანი და მომზადებული, რომელიც სასამართლოს და მოსამართლის შეურაცხყოფის ფაქტებთან დაკავშირებით, კონკრეტული სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობას შეეხებოდა, რამაც საზოგადოებაში მოსალოდნელი გაურკვევლობა და საწინააღმდეგო შეფასებები გამოიწვია. ორგანიზაციისთვის მისაღებია სასამართლო სისტემის წარმომადგენელთა პრეტენზიები პროფესიული ღირსების დაცვისთვის, თუმცა ორგანიზაცია არ ეთანხმება მიდგომას – პროცესის მონაწილე მხარის ზღვარგადასული გამონათქვამები განზოგადდეს და აღნიშნული საფუძველი გახდეს დაწესდეს სანქციები, რითაც პირდაპირ შეიზღუდება ყველაზე მაღალი კონსტიტუციური პრინციპი და საზოგადოებრივი სიკეთე – გამოხატვის თავისუფლება.

ორგანიზაციამ არაერთი განცხადება გააკეთა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის შინაარსთან დაკავშირებითაც. ორგანიზაციის რეკომენდაციები წერილობითი ფორმით გაგზავნა, როგორც საქართველოს პარლამენტს,

ასევე ვენეციის კომისიას. ორგანიზაცია აუცილებლად მიიჩნევდა პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის შენარჩუნებას, რადგან ნეიტრალური არბიტრი უნდა იყოს სახალხო მანდატის მფლობელი. ორგანიზაცია აუცილებლად მიიჩნევდა საპარლამენტო არჩევნებში გაუნაწილებელი მანდატების პროპორციულად გადანაწილებას, რადგან გამარჯვებულ პარტიას არ ერგოს შეუსაბამო და დაუმსახურებელი რაოდენობის მანდატები. ორგანიზაცია მიზანშეწონილად მიიჩნევდა საარჩევნო ბარიერის 4%-მდე დაწევას, რათა უფრო მეტ პარტიას მისცემოდა საპარლამენტო ცხოვრებაში ჩართვის საშუალება და მიღწეული ყოფილიყო პარტიული და წარმომადგენლობითი პლურალიზმი. ორგანიზაციას მიაჩნდა, რომ საარჩევნო ბლოკი კვლავ უნდა განხილულიყო საარჩევნო სუბიექტად, ხოლო მათთვის საარჩევნო ბარიერი უნდა განსაზღვრულიყო 7%-ით. ამასთან, ორგანიზაციას მიაჩნდა, რომ მაჟორიტარული სისტემის სრულ გაუქმებამდე, უნდა მომხდარიყო მაჟორიტარული სისტემის ხარვეზული მხარეების შესწავლა, აღმოფხვრა და მეტი საკანონმდებლო უფლებამოსილების განსაზღვრა მაჟორიტარი პარლამენტის წევრების რეალური პოლიტიკური საქმიანობისთვის. ორგანიზაციის მოსაზრებით, პრეზიდენტს უნდა შენარჩუნებოდა ვეტოს უფლება კონსტიტუ-



მთელი წელი საზოგადოებისთვის

ციურ კანონზე. ორგანიზაციას მიაჩნდა, რომ არ უნდა მომხდარიყო ეროვნული უშიშროების საბჭოს გაუქმება. ორგანიზაციამ ამ თემაზე კიდევ ერთი განცხადება კონსტიტუციის მიღების შემდეგაც გააკეთა და აღნიშნა, რომ ახალი კონსტიტუცია თანხმობის დოკუმენტი არ არის, მაგრამ მისი მიღებით ქვეყანაში დემოკრატიას საფრთხე არ ემუქრებოდა.

ივნისი, 2017 – ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მონიტორინგის შედეგები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საქართველოში კვლავ ყველაზე მდიდარი სახელმწიფო ორგანოა. 2017 წლის მდგომარეობით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა შრომითი ანაზღაურების ოდენობა, ხოლო კომისიამ დასაქმებული რვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების მიერ მიღებული ხელფასების, პრემიებისა და დანამატების შესახებ, მათი თანხმობის არარსებობის გამო, არ გასცა. მართალია, კომისია, არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან მთავრობის რომელიმე სარეზერვო ფონდიდან, მაგრამ კოლოსარული თანხების მიღებას უზრუნველყოფს კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში რეგულირების საფასურის გადამხდელი პირებისგან. შე-

საბამისად, დაისმის საკითხი კომისიის საქმიანობის ეფექტურობასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშ-ვალდებულებასთან დაკავშირებით.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც ეხებოდა საქართველოს მთავრობის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობას. ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა შესწავლილიყო ინფორმაცია, 2014, 2015 და 2016 წლებში სააგენტოში დასაქმებული პირების მიმართ გაცემული ხელფასების, პრემიებისა და დანამატების შესახებ და დადგენილიყო მათი მიზნობრიობა, ასევე, სააგენტოს მხრიდან გაცემული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების საკითხი, სააგენტოს კვლევითი საქმიანობა, ურთიერთობების ხარისხი სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებთან და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებლები. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში, შრომით ანაზღაურებაზე, 2016 წელს სულ გაიცა 562 217 ლარი, 2015 წელს – 524 395.00 ლარი, 2014 წელს – 310 027.49 ლარი. რაც შეეხება პრემია-დანამატების ოდენობას, 2016 წელს პრემიის სახით გაიცა 59,050 ლარი, ხოლო სახელფასო დანამატის სახით – 191,700 ლარი. 2015 წელს პრემიის სახით გაიცა – 26,240 ლარი, ხოლო სახელფასო დანამატის სახით – 122,450,



მთელი წელი საზოგადოებისთვის

ხოლო 2014 წელს, პრემია-დანამატმა შეადგინა 89,030 ლარი.

ორგანიზაციამ მთავრობას ტერიტორიული მოწყობისთვის გუბერნატორების და გამგებლის წარმომადგენლის ინსტიტუტის გაუქმებისთვის მიმართა. ორგანიზაციის შეფასებით, გუბერნატორის ან/და გამგებლის რწმუნებულის ინსტიტუტის დატოვება, რეალური დეცენტრალიზაციის პირობებში, ევროპული ქვეყნების გამოცდილებას ცდება, წარმოადგენს საბჭოთა მმართველობის სტილისთვის დამახასიათებელ ფორმებს და შეიძლება შეფასდეს, როგორც სახელმწიფოს ფინანსების არამიზნობრივად ხარჯვის დაშვება.

ივლისი, 2017 – ორგანიზაციამ 7 თვითმმართველი ქალაქის მუნიციპალიტეტებთან გაერთიანების მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით შეფასება წარმოადგინა და კანონზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოყენებული ვეტოს დაძლევაზე, საპარლამენტო განხილვებში იმ მოტივირებულ შენიშვნებზე დისკუსია მოითხოვა, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა კანონი საზოგადოებრივ ინტერესებთან ახლოს მდგარიყო. ამასთან, ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ თუკი საქმე მხოლოდ დანახარჯების შემცირებას ეხება, საჭირო იყო იმ თვითმმართველი ერთეულე-

ბის ერთმანეთთან მიერთება, რომლებსაც ნაკლები შემოსავლები და ზედმეტი ბიუროკრატიული ხარჯი გააჩნდათ.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მონიტორინგი, სადაც შეფასება გაკეთდა საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე და აღინიშნა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „საქართველოს“ გაკოტრების პროცესში, ეროვნული ბანკი მომხმარებლების წინაშე არსებული რისკების შესახებ ინფორმირებული ჯერ კიდევ 2012 წლის 27 ივნისიდან იყო, საფრთხეების სათანადო შეფასება არ მომხდარა და 2016 წლის შემოდგომაზე სებ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაგვიანებული, არაკოორდინირებული და არამართლზომიერი იყო. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ სებ-მა დაგვიანებით გამოიყენა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის 48¹-ე მუხლის რეგულაცია, როდესაც კომპანიაში ფინანსურ კრიზისის უკვე ათასობით მომხმარებელი ჰყავდა დაზარალებული, რეგულაციები და აკრძალვები კი (კვალიფიციურ საკრედიტო ინსტიტუტად აღიარება) მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მხოლოდ 2016 წლის 19 სექტემბრიდან დაუწესდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ეფექტურ და სწრაფ მოქმედებებს შეეძლო კომპანიას ნაკლები დაზარალებული ჰყოლოდა.



მთელი წელი საზოგადოებისთვის

აგვისტო, 2017 – ორგანიზაცია გამოეხმაურა საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოში ასარჩევი მოსამართლის ორი ახალი კანდიდატურის შერჩევის კონკურსს და აღნიშნა, რომ მოსამართლეობის კანდიდატები უნდა შერჩეულიყვნენ იმ წინაპირობების, დათქმებისა და რეკომენდაციების მიხედვით, რომლის თაობაზეც საქართველოს მთავრობას ღიად მიუთითებდა ევროპის საბჭოს ექსპერტ მრჩეველთა კოლეგია. ორგანიზაციის შეფასებით, კანდიდატურის სწორად შერჩევას პირდაპირი კავშირი გააჩნდა ქვეყანაში მართლმსაჯულების რეფორმის, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ პატივისცემის საკითხთან. საკონკურსო კომისიამ გამოკვეთილი ყურადღება უნდა დაუთმოს მაღალი მორალური და პროფესიული რეპუტაციის მოთხოვნით შერჩევის ფაქტს, რაც პროცესის გამჭვირვალობისა და სანდოობის დამატებითი ფაქტორია. ევროსასამართლოში წარსადგენი კანდიდატების შერჩევის დროს, ყურადღება უნდა გამახვილდეს კანდიდატების ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხზე, მათ მიუკერძოებლობასა და პოლიტიკური პროცესების შესაბამისად, შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელების ტენდენციებზე. მნიშვნელოვანია, საკონკურსო კომისიამ შერჩეული კანდიდატების შეფასება მოახდინოს სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, სადაც კანდიდატის სუბიექტური და ობიექტური ტესტით შეფასება, ევროსასამართლოში საქართველოდან მოსამართლეობის მსურველთა წარდგენის საფუძვლე-

ბისთვის, ერთ-ერთ გადამწყვეტ წინაპირობად მიგვაჩნია.

სექტემბერი, 2017 – ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობის სამინისტროებში დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის შრომით-სამართლებრივი პოლიტიკის საკითხზე მონიტორინგი გამოაქვეყნა. შესწავლილ იქნა თანამშრომელთა დანიშვნის, დანიშნულების, გათავისუფლებისა და მასთან დაკავშირებული თანმდევი პროცესების – სამსახურში აღდგენის, კომპენსაციის გაცემის, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების საკითხები. მონიტორინგის პროცესი ეხებოდა 2013 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 ივნისამდე პერიოდს. დგინდება, რომ 2013-2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის სამინისტროებიდან, საერთო ჯამში, გათავისუფლებულ იქნა **26 510** ადამიანი, ბიუჯეტს კი კომპენსაცია 12 350 293 ლარი დაუჯდა. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მაღალია თანამშრომელთა დანიშვნის მაჩვენებელი. 2013-2017 წლებში, მთავრობის სამინისტროებში, საერთო ჯამში, დაინიშნა – **25 895** თანამშრომელი. აქედან, ყველაზე მეტი დასაქმდა შინაგან საქმეთა სამინისტროში – **14 519**, ყველაზე მცირე – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში – **14** პირი. რაც შეეხება დანიშნულების მაჩვენებელს, რაც სამინისტროების მხრიდან კადრების განვითარების, მათი პროფესიული ზრდისა და წინსვლის შესაძლებლობას გულისხმობს, დაბალია. სამინისტროებში, ამ ხნის განმავლობაში, სულ დანიშნურდა –



მთელი წელი საზოგადოებისთვის

14 440 თანამშრომელი, რაც თავის მხრივ მთავრობის სამინისტროებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, დაბალია.

ოქტომბერი, 2017 – ორგანიზაციამ 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროცესზე საზოგადოებრივ შეფასება წარმოადგინა და აღნიშნა, რომ საარჩევნო გარემოს ბევრი ხარვეზის მიუხედავად, 2017 წლის არჩევნები თავისუფალი, ფინანსური შესაძლებლობებით კი – ნაკლებად კონკურენტული იყო. მოსახლეობამ საშუალება ჰქონდა პოლიტიკური პარტიებისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მეშვეობით, სრული ინფორმაცია მიეღოთ საარჩევნო პროგრამების, ინიციატივებისა და თვითმმართველობის საკითხებზე, დასმული საკითხების შეფასებებთან დაკავშირებით. ხელისუფლებამ შეძლო თავისუფალი და თანაბარ შესაძლებლობებზე დაფუძნებული საარჩევნო გარემოს შექმნა, თუმცა 2017 წლის არჩევნების განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ანტიპარტიული განწყობები. ქვეყანაში პოლიტიკური კონკურენცია, ფაქტობრივად, არ არსებობს. ჩნდება საფუძვლიანი წარმოდგენები იმის შესახებაც, რომ ქართული ბიზნესი და საქმიანი ადამიანები, პოლიტიკურ პროცესებში ფინანსური შემოწირულობებით, მხარს უჭერენ არა იდეებს, არამედ გარანტიებს. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ 2017 წლის არჩევნების კიდევ ერთი პრობლემური მხარე გამოიხატება პოლიტიკური პარტიების, მათ შორის მართველი პოლიტიკური

პარტიის რეალური ნდობის რეიტინგების დადგენის შეუძლებლობაში. საქართველოში არ არსებობს დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სოციოლოგიური კომპანიები, რომლებიც პარტიების, კანდიდატების და მათი მხარდაჭერის შედეგებს გამოაქვეყნებდნენ. ამასთან, ორგანიზაციის კიდევ ერთი შესწავლა მდგომარეობდა თბილისის მერობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამების შეფასებაში. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ თბილისის მერობის არც ერთ კანდიდატს სამართლიანობის აღდგენისა და სისტემური დანაშაულებების საქმეებზე, სადაც მერია მხარეა, პოზიცია არ გააჩნდა.

ორგანიზაცია გამოეხმაურა საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებას და გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯგუფების სხვადასხვა პოზიციას და აღნიშნა, რომ ორგანიზაცია ვერ გაიზიარებს იმ მოსაზრებებს, რომელიც ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს გაუარესების შესაძლებლობას, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შეჩერებას და საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გარიგებათა ჩაშლის მოლოდინს, თუმცა ორგანიზაცია სრულად იზიარებს იმ პოზიციას, რომელიც ეხება გადაწყვეტილების რისკებს და მიმართავს საქართველოს მთავრობას, საზოგადოებისთვის, რაც შეიძლება გონივრულ ვადებში გახდეს ცნობილი, რა ხედვა და სისტემა იქნება შემოტანილი, ნამდვილი მესაკუთრეებისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დასაცავად.

მთელი წელი

ნოემბერი, 2017 – ორგანიზაციისთვის კვლავ აქტუალური საკითხი გახდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე მოვლენების საზოგადოებრივი შეფასება. **ორგანიზაციისთვის** სრულიად გაუგებარია, მართლმსაჯულების წინაშე არსებულ გამოწვევებზე, რატომ არ ხდება კონსენსუსის მიღწევა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის, რა მიზანს ემსახურება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის პირდაპირი დისკრედიტაცია, პასუხობს თუ არა საბჭოს მოქმედებები დღევანდელი საზოგადოების მოთხოვნებს. ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა შეარჩიოს, დანიშნოს და განამწესოს მოსამართლეები, მაგრამ თუკი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დასაბუთებული კითხვები არსებობს დასანიშნი მოსამართლეების მიმართ, მათი დამოუკიდებლობის, მიკერძოების და სისტემური დანაშაულების საქმეებზე პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების გამო, დაუშვებელია, სისტემა ინარჩუნებდეს ასეთ მოსამართლეებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიზანი ხალხში ნდობის აღდგენა უნდა იყოს და არა – ნინო გვენეტაძის ჩამოცილება.

ორგანიზაციამ შეფასება წარმოადგინა საქართველოს სახალხო დამცველის არჩევის დაჩქარებულ პროცესთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ პარლამენტმა ომბუდსმენის კანდიდატურის შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა და მაღალი ლეგიტიმაცია ვერ შეძლო. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ პარლამენტს არ უნდა დაერღვია ტრადიცია, რომლის მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველის კანდიდატები შეირჩეოდნენ სამოქალაქო სექტორთან ფართო დიალოგის პროცესში. პარლამენტს უნდა მოეხდინა მომავალი ომბუდსმენის კანდიდატების წარმოდგენისთვის კონკრეტული თარიღის განსაზღვრა, სადაც სამოქალაქო ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს ან/და პირებს, რომლებსაც ადამიანის უფლებების სფეროში შესაბამისი გამოცდილება გააჩნდათ, შეეძლებოდათ განაცხადის გაკეთება. აღმოჩნდა, რომ საქართველოს პარლამენტმა რვა არასამთავრობო ორგანიზა-



ციასთან ერთი შეხვედრით, ასევე რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთან კონტაქტის საფუძველზე, სახალხო დამცველის მომავალი კანდიდატის შერჩევის გადაწყვეტილება მიიღო, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობაზე მსურველ სხვა შესაძლო პირებს და ამ პროცესის საზოგადოებრივი ინტერესებით წარმართვის შესაძლებლობას აკნინებს.

ორგანიზაცია გამოეხმაურა კიდევ ერთ აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხს, რომელიც ეხება თბილისის მერიასა და კომპანია “C.T.PARK“-ს შორის 2007 წლის 7 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას. ორგანიზაციის აზრით, მნიშ-

საზოგადოებისთვის



არსებობს რამდენიმე არჩევანი: ა) ხელშეკრულებაში ცვლილების გზით ახალი დათქმებისა და რეგულაციების განხორციელება, ბ) კომპანიასთან ხელშეკრულების განწყვეტა, რაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტს, კომპენსაციის სახით, 25 მლნ დაუჯდება და გ) საერთო სასამართლოების მიმართვის გზით, თუკი მხარეებს შორის ვერ შედგება კონსენსუსი, ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

დეკემბერი, 2017 – ორგანიზაციამ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის 9 დეკემბრის არჩევნებზე შეფასება და სარეკომენდაციო წინადადებები გამოაქვეყნა. წარ-

გნელოვანია, „C.T.PARK“-თან სადავო ხელშეკრულების გადაწყვეტა, სასამართლოს გარეშე განხორციელდეს. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოდგენილი დასკვნით, 2017 წლის ასოციაციის არჩევნებმა გამოკვეთა ცალკეული პროცედურული დარღვევები, პროცესის არაორგანიზებულობა, სამწუხარო ინციდენტები, არაკოლეგიალური ურთიერთობების მაგალითები, კანონიდან გამომდინარე სხვადასხვა სამართლებრივი დასკვნები, თუმცა არჩევნების შედეგები სრულად გამოხატავდა საერთო კრებაზე რეგისტრირებული დელეგატების თავისუფალ ნებას, საარჩევნო კომისიის მიერ ხმების დათვლის პროცესი წარიმართა გამჭვირვალე და მიუკერძოებელ გარემო პირობებში და არჩევნების არალეგიტიმურად ცნობის მიმართ არ არსებობს არავითარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. კენჭისყრის პროცესში, როგორც სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, ასევე მედიის წარმომადგენლებს, გააჩნდათ მოვლენების შეფასებისა და ინფორმაციის მიღების თავისუფალი შესაძლებლობა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არჩევნები არ გამოირჩეოდა პროფესიული კოლეგიალობის მაღალი სტანდარტით და ადგილი ჰქონდა ადვოკატისთვის შეუფერებელ ქცევებს, ერთმანეთის დაუმსახურებელ შეურაცხყოფას, უხამსს გამონათქვამებს და პერსონიფიცირებულ თავდასხმებს თავმჯდომარეობის კანდიდატებსა და არჩევით ორგანოებში წარდგენილ პირებს შორის, რაც არ ემსახურება ადვოკატის ეთიკური ქცევის მოთხოვნებსა და დადგენილ წესებს. თავმჯდომარეობის კანდიდატები აქცენტს უფრო აკეთებდნენ არა საპროგრამო საკითხებზე, არამედ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი ადმინისტრაციის მიუღებლობაზე. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საარჩევნო პროცესში არსებობდა საარჩევნო პროგრამების და ამომრჩევლებთან შეხვედრის თანაბარი შესაძლებლობა, თუმცა ამ მიმართულებით, სტრუქტურირებული პროგრამა და გუნდი, ასოციაციის თავმჯდომარეობის მხოლოდ სამ კანდიდატს – დავით ასათიანს, დავით ლანჩავასა და ლევან ჯანაშიას გააჩნდა.



მარტი, 2017 – საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „ახალგაზრდა ადვოკატების“ საკანონმდებლო წინადადებას, მხარი არ დაუჭირა, რომლის საფუძველზეც მოსამართლეებს საცხოვრებელი ფართები საკუთრების უფლებით არ უნდა გადასცემოდეთ. კომიტეტის მხრიდან კანონპროექტის მიმართ დამოკიდებულება შეფასდა იმ გარემოებით, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭირო იყო მასზე დეტალური და არსებითი მსჯელობა. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, კანონპროექტის შესახებ მსჯელობა მომავალში შეიძლება, კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის შეხედულებით კი, საყურადღებო იქნებოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის წარმოდგენაც, რომელიც შეაფასებდა მოსამართლეთა მიმართ ქირითი უზრუნველყოფის ხარჯთეფექტურობის საკითხს. კანონპროექტის მიმართ დამოკიდებულება მოულოდნელი და ბოლომდე გაუგებარი დარჩა. საკანონმდებლო წინადადებაზე მუშაობა განხორციელდა ორგანიზაციის სამართლის ჯგუფის მონაწილეობით და არ ყოფილა შეზღუდული რომელიმე დონორი ორგანიზაციის განსაკუთრებული მოთხოვნით. აღნიშნული „ახალგაზრდა ადვოკატების“ უკვე მეოთხე საკანონმდებლო წინადადებაა, რომელსაც საქართველოს პარლამენტი განიხილავს.



თებერვალი, 2017 – ორგანიზაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში სამოქალაქო ორგანიზაციებთან შეხვედრას დაესწრო. საუბარი ეხებოდა დაგეგმილი რეფორმის ირგვლივ დისკუსიას და სარწმუნო ინფორმაციის მიღებას, რომელიც უკავშირდება დევნილთა 45-ლარიანი შემწეობის გადანაწილების საკითხზე დაგეგმილ ცვლილებებს. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოსალოდნელ რეფორმასთან მიმართებით საკუთარი პოზიციები წარმოადგინენ. განსახორციელებელი რეფორმის მთავარი პრინციპი უნდა იყოს ის, რაც დასახელდა – საჭიროება. ადამიანებს, რომლებსაც შემოსავლების მიხედვით, დევნილთა შემწეობა – 45 ლარი აღარ სჭირდებათ, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, ეს თანხა მათ მიმართ არ უნდა გაიცეს. პრობლემად დასახელდა ცვლილებების საზოგადოებამდე მიტანის ეფექტურობა.



მარტი, 2017 – ორგანიზაციამ სამართლიანობის აღდგენის პროცესზე, მიმდინარე გამოწვევებსა და შედეგებზე სადისკუსიოდ, ჟურნალისტურ კორპუსს შეხვდა. მედია–ფორუმს გაზეთების, ახალი ამბების სააგენტოებისა და ტელევიზიის წარმომადგენლები ესწრებოდა. შეხვედრის მიზანს სამართლიანობის აღდგენის პროცესში ორგანიზაციის ჩართულობის, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის ანალიზი და წარმოდგენილ კონკრეტულ რეზონანსულ საქმეებზე მოსალოდნელი პერსპექტივების შეფასება წარმოადგენდა. ორგანიზაციის პოზიციით, წარსულში ჩადენილი სისტემური დანაშაულებები დაუყოვნებლივ მოითხოვს რეაგირებას და ჭეშმარიტების დადგენას. ამ მიმართულებით, მთავრობას, პარლამენტს და სასამართლოს ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღება, შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა და ეფექტური მოქმედებები მართებთ, საზოგადოებრივი კონტროლი კი უნდა განახორციელოს მეოთხე ხელისუფლებამ – მედიამ. ჟურნალისტურმა კორპუსმა უნდა აკონტროლოს ხელისუფლების ყველა შტო. საჭიროა ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები, რადგანაც გახმაურებულ, ქონების დათმობის რეზონანსულ საქმეებზე, მთავრობის შესაბამისი სამინისტროები და სასამართლოები ადამიანის უფლებების აღდგენის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებენ.





აპრილი, 2017 – ორგანიზაციამ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული საპროექტო წინადადებათა დოკუმენტის სამართლებრივი შეფასების შედეგად, სარეკომენდაციო წინადადებათა პაკეტი გამოაქვეყნა. შეფასებით მოთხოვნილ იქნა მგგ-ის ახალი დოკუმენტი მაღალი ლეგიტიმაციის პირობებში, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას განეხილა და მიეღო. ორგანიზაცია აუცილებლად მიიჩნევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ფორსირებულად, დაჩაქრებული წესით, საზოგადოებრივი აზრისა და სპეციალისტების ჩართულობის გარეშე, არ მიიღოს თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტი, გასწორდეს და არსებულ საკანონმდებლო-რეგულაციის წესებთან შესაბამისობაში მოვიდეს დოკუმენტის ხარვეზული მხარეები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ობიექტებს შეექმნათ მეტი დაცულობის საფუძვლები.



მაისი, 2017 – ორგანიზაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით, თბილისში გამართული რიგით მეორე საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო. პროფესიული სამიტის მთავარი თემაა: „იურიდიული პროფესიის თანამედროვე გამოწვევები“, რომელსაც სტუმრები ევროპის ადვოკატთა ასოციაციიდან, სამართლის საბჭოდან და დამატებით 9 ქვეყნიდან ესწრებოდა. იმსჯელეს: საადვოკატო საქმიანობის გარანტიებზე, ადვოკატთა პროფესიაში მიღების წესებსა და რეგულაციებზე, განგრძობადი იურიდიული განათლების სტანდარტებზე, სოციალური მედიის გავლენაზე ადვოკატის საქმიანობაში, პროფესიაში არსებული რისკებსა და გამოწვევებზე, საკანონმდებლო ჩარჩო-სტანდარტებზე.



თბილისის მგგ-ის არსებული დოკუმენტის მიღება, შესაძლოა, სასამართლოში გასაჩივრდეს

ნოემბერი, 2017 – ორგანიზაცია თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის არსებული სახით შესაძლო მიღებასთან დაკავშირებით, თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას მიმართავს და აღნიშნავს, რომ თბილისის საკრებულომ უარი უნდა თქვას მგგ-ის დამტკიცებაზე და დოკუმენტი საერთაშორისო რეკომენდაციების საფუძველზე, უნდა შეიცვალოს.

ორგანიზაციას გააჩნია თბილისის მგგ-ის დოკუმენტის სამართლებრივი კვლევის გამოცდილება, მათ შორის გაეცნო საპროექტო წინადადებაზე 2017 წლის სექტემბერში ფრანგი სპეციალისტების დასკვნებს, რაც ერთობლიობაში მიუთითებს, რომ დოკუმენტის არსებული სახით მიღება, თბილისის შემდგომი განვითარებისთვის, კიდევ უფრო მეტად საზიანო იქნება. ორგანიზაციის შეფასებით, არსებობს მოლოდინი, თბილისის მუნიციპალიტეტის ახალმა საკრებულომ ფორსირებულად დამტკიცოს წარმოდგენილი დოკუმენტი, რაც არ უნდა მოხდეს. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საჭიროა არსებული დოკუმენტის მიღებაზე უარის თქმა ან ფართო საზოგადოებრივი ჯგუფების მონაწილეობით, საჯარო და გამჭვირვალე კონკურსის პირობებში, დოკუმენტის ახალ რედაქციაზე მუშაობის დანერგვა. იმ შემთხვევაში, თუკი თბილისის მგგ-ის საპროექტო წინადადების არსებულ პროექტს თბილისის მომავალი საკრებულო დამტკიცებას, ორგანიზაცია საკრებულოს დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, სასამართლოს მიმართავს.

ორგანიზაციამ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს საჯარო განმარტებებისთვის კიდევ ერთხელ მიმართა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მოითხოვა პასუხი გაეცეს შექმნილ მდგომარეობას, თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული საპროექტო წინადადებათა დოკუმენტის საფუძველზე, თუ რა დადგენილების პროექტი მოამზადა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და რა სამართლებრივი დასკვნები გასცა თბილისის მერიამ საკრებულოს მიმართ შექმნილი პროექტის მომზადებისთვის.

ორგანიზაცია გაეცნო საჯარო ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც მომზადებულია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ამავე სახელწოდებით 2016 წლის 24 მაისის მიღებული თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება. მთავარი კითხვა, რომელიც წარმოდგენილი აქტის ამჟამინდელ პროექტთან დაკავშირებით დაისმის, ეხება თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული საპროექტო წინადადების საკითხებს, ვინაიდან თბილისის მერიიდან თბილისის საკრებულოში, დადგენილების პროექტი: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“, წარმოდგენილია და წარმოჩენილია, როგორც თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა, რაც არსებითად სხვა მოცემულობა და სხვა სახელწოდების დოკუმენტია.

ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, ყურადღებით აკვირდება, როგორც შემოთავაზებული დოკუმენტის მიღების პროცესს, ასევე თბილისის მგგ-ით დასმული საკითხების

მიმართ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენელთა შეფასებებსა და პოზიციას. ორგანიზაციამ 2017 წლის ნოემბერში, თბილისის მუნიციპალიტეტის არჩეულ მერ კახი კალაძეს წერილობით აცნობა, რომ ორგანიზაცია მიესალმება თბილისის გენერალური გეგმით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით დედაქალაქის მთავრობის წარმომადგენელთა დისკუსიას და აღნიშნავს, რომ კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობა, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული და დაცული. ამასთან, ორგანიზაცია გამოთქვამს საკითხზე და თბილისის მგგ-ის დოკუმენტის მიმართ მეტი დისკუსიისა და განხილვის აუცილებლობას და ამ თვალსაზრისით, მომართავს ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტს, შეიქმნას მეტი სადისკუსიო სივრცე საკითხით დაინტერესებული სპეციალისტების ფართო მონაწილეობისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ გააფორმა ხელშეკრულება 2 800 000 ლარის მომსახურებაზე. 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის #1742 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურსა და უცხოურ სანარმო – „ფრანკოთერაპიუსკუბერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი.-ს ფილიალი საქართველოში“ (PricewaterhouseCoopers) შორის გაფორმდა #42030651A001/015 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაცია, საკონკურსო კომისიას, საკონკურსო განაცხადებზე მუშაობის პროცესში, უწევდა საკონსულტაციო მომსახურებას. აღნიშნული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 400 000 ამერიკული დოლარი.

„ჩვენ მზად ვართ „ახალგაზრდა ადვოკატებთან“ ერთად ბევრ საკითხთან დაკავშირებით ვისაუბროთ. ჩვენ ამ პარტნიორობაზე ერთმანეთს უკვე მივეცით პირობა. დიდი მადლობა იმ შრომისთვის, რომელიც მათ განიეს გენგეგმის კვლევასთან დაკავშირებით. ჩვენი ყველანაირად მივესალმებით ობიექტურ კვლევას. მე ვიცი, რომ ეს იყო ობიექტური კვლევა, მე ვიცი, რომ ეს იყო კარგად გაკეთებული კვლევა, მიზანმიმართული და ყველანაირად მივესალმებით, სხვა ორგანიზაციებთან, ბუნებრივია. მთავარია აქ იყოს იმისკენ სწრაფვა, რომ დოკუმენტი იყოს მაქსიმალურად სრულყოფილი“ – აღნიშნულის შესახებ თბილისის მგგ-ის საპროექტო წინადადების მომზადებაზე ავტორი ორგანიზაციის „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორმა, მამუკა სალუქვაძემ საზოგადოებრივ მაუწყებლის საზოგადოებრივი რადიო 1-ის გადაცემა: „ლია სტუდია“ საკითხზე მსჯელობისას 2017 წლის მაისში განაცხადა.

ორგანიზაციამ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის მონიტორინგის პროცესში 2017 წლის მარტში ჩაერთო. ორგანიზაციამ 2017 წლის აპრილში მონიტორინგის წარმოადგინა და აღნიშნა, რომ თბილისის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტი საჯარო ინტერესებს არ პასუხობდა. ორგანიზაციამ გამოაქვეყნა რეკომენდაციათა პაკეტიც, რომელითაც მოთხოვნილი იქნა, რომ მგგ-ის ახალი დოკუმენტი მაღალი ლეგიტიმაციის პირობებში, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეულმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ უნდა მიიღოს. ამ საკითხზე სამოქალაქო ადვოკატირების პროცესი, 2018 წელსაც გაგრძელდება.



ივნისი, 2017 – ორგანიზაციამ მიკროსაფინასო ორგანიზაცია „ლაზიკა კაპიტალის“ საქმეზე მომზადებული სამართლებრივი კვლევის შედეგები წარმოადგინა და სარეკომენდაციო წინადადებებით საქართველოს მთავრობას, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიმართა. მონიტორინგის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კომპანიის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ეფექტიანობისა და მიუკერძოებლობის შეფასება. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დადგენილიყო, თუ რატომ ფერხდება პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება, ვინ მოქმედებს ბიზნესის წინააღმდეგ და მფარველობენ თუ არა საჯარო მოხელეები კომპანიის მიმართ ჩადენილ დანაშაულთან შესაძლო დაკავშირებულ პირებს. მოცემული საქმე საყურადღებო და მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული მოქმედებების დამოუკიდებელი ანალიზით, რაც ტოვებს საქმეზე შერჩევითი სამართალწარმოების განხორციელების ვარაუდს და მიუთითებს ბიზნესის სანაღმდეგო ქმედებებზე, ვინაიდან განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ არ ხდება კომპანიის მიმართ ჩადენილი დანაშაულის სწრაფი, ეფექტური და ობიექტური გამოძიება. საქმეში ფიგურირებს საქართველოს მთავარი პროკურატურის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელთა კერძო ინტერესებიც, რაც პირდაპირ აფერხებს მიუკერძოებელი და გავლენისგან თავისუფალი გამოძიების შესაძლებლობას. ორგანიზაცია საქმეზე სამოქალაქო ადვოკატირების პროცესს განაგრძობს. სამართალწარმოების თაობაზე ინფორმაცია მიენოდათ საქართველოში და უცხოეთში საერთაშორისო ორგანიზაციებს. საქმეზე გაიმართა რეგიონალური სადისკუსიო შეხვედრებიც. ეს საქმე 2018 წლისთვის, ორგანიზაციისთვის პრიორიტეტული იქნება.





მაისი, 2017 – ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა სტუდენტური პროექტი: „კანონშემოქმედის“ მხარდაჭერის ფარგლებში, პროექტის მონაწილე დელეგატების მიმართ, საჯარო ტრენინგი ჩაატარა, რომელიც საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივისა და საკანონმდებლო წინადადებათა წარდგენის ტექნიკას ეხებოდა. ამასთან, დელეგატები გაეცნენ ორგანიზაციის მიერ საქართველოს პარლამენტის მიმართ წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებებს და მათ მნიშვნელობას. პროექტი, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ხორციელდება, მიზნად ისახავს საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი კანონპროექტების ინიცირებას. ორგანიზაცია მუდმივად მხარს უჭერს საგანმანათლებლო, პროფესიულ ინიციატივებში თანამონაწილეობას. ორგანიზაციისთვის აღნიშნული იქნება მეორე მასშტაბური პროექტი „Future Lawyers’ Summit 2016“ შემდეგ, რომლის ოფიციალური პარტნიორიც გახდა.



აპრილი, 2017 – ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა სამოქალაქო პლატფორმა „ახალი საქართველოს“ მოწვევით, სტაჟირების პროგრამაში მონაწილე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა. არჩილ კაიკაციშვილმა წარადგინა ორგანიზაციის წარმოებაში არსებული საქმეები, განიხილა მათი სამართლებრივი და ფაქტობრივი შეფასება, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი და მოისმინა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების შეხედულებები სადავო საკითხების სამართლებრივ დასაბუთებასთან დაკავშირებით. საჯარო ლექციის ფორმატში წარდგენილ იქნა საქმეები საკუთრების უფლებასთან, სახელშეკრულებო და შრომით უფლებებთან დაკავშირებული დავები.

მაისი, 2017 – „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლები შეხვდნენ „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ მიერ მოწვეულ საერთაშორისო ექსპერტს, იან ვორისეკს, რომელიც საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო პროგრამის“ განხორციელებას აფასებს. ორგანიზაციამ ექსპერტს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა პროექტის თითოეული კომპონენტის, იმპლემენტაციის, პრობლემური საკითხებისა და მიღწევების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ექსპერტმა დადებითად შეაფასა ორგანიზაციის საქმიანობა და როლი სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების, იურიდიული დახმარებისა და ცნობიერების ამაღლების ნაწილში.



აპრილი, 2017 - ორგანიზაციამ „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარების“ პროექტი დაასრულეს. 2016 წლის 1 ივნისიდან 2017 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ორგანიზაციამ სამშობლოში დაბრუნებული 21 მოქალაქის ადვოკატირება განახორციელა. აქედან 12 მოქალაქის მიმართ მოხდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო 9 მოქალაქის მიმართ იურიდიული კონსულტაციის განევა. საკითხები, რომლებიც ორგანიზაციის იურისტებმა სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს მოუგვარეს, ეხებოდა პიროვნების მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების მომზადებას, სამკვიდრო ქონების რეგისტრაციას, უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარებას, იურიდიული შინაარსის დოკუმენტაციის თარგმანს, უცხოეთში გაცემული დოკუმენტაციის აპოსტილის წესით დამოწმებას, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებას, პირადი ნივთების უცხოეთიდან დაბრუნების საკითხებს, სესხის ხელშეკრულებიდან





წარმოშობილ დავებზე მოლაპარაკებების წარმართვას, სოციალურად დაუცველი სტატუსის მიღებას, საჯარო უწყებებთან ბენეფიციართა პრობლემურ საკითხებზე კომუნიკაციის წარმოებას, მათ შორის საქართველოს საელჩოებთან საზღვარგარეთ.

ორგანიზაციამ მოამზადა შესაბამისი კვლევა და საქართველოს 6 რეგიონში ჩაატარა ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანია. შეხვედრები მომზადდა შემდეგ რეგიონებში – აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და კახეთი. ორგანიზაციის წევრებმა, პროექტის ფარგლებში, საინფორმაციო ცნობიერების ამაღლების კამპანია დაუგეგმავად და პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, აგრეთვე ჩაატარეს ქ. ქობულეთსა და ქ. ოზურგეთში. ყველა შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, დაცული იყო გენდერული ბალანსი და შეხვედრები აქტიურად გაშუქდა ადგილობრივ, რეგიონულ თუ ცენტრალურ მედიაში.









ივლისი, 2017 – ყველა ინფორმაციით დასტურდება, რომ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში არსებობენ ჯგუფები, რომელთა მიზანია სისტემური დანაშაულის საქმეებზე სამართლიანობის აღდგენის შეფერხება. მათი გავლენები პოლიტიკურ და სამართლებრივ ინსტიტუტებზე გაცილებით მაღალია, თუმცა გაუგებარია ლოგიკა, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ – სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, დაზარალებული როლანდ ბლადადის საქმეზე, სამართლიანობის აღდგენა და კანონიერი გადაწყვეტილებების მიღება, წესით, ხელისუფლების ინტერესებში უნდა შედიოდეს. აღნიშნულის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა როლანდ ბლადადის საქმეზე ორგანიზაციის მიერ მომზადებული ფილმის: „სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ“ საჯარო პრეზენტაციაზე განაცხადა.

ფილმი საზოგადოებას სრულად აცნობს დავის უცნობ დეტალებს, სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზს, ცალკეული მოსამართლეების მიკერძოების ფაქტებს, სახელმწიფოს პოლიტიკას ჩამორთმეული ქონების დაბრუნების მიმართულებით, საქმეზე გიორგი პაპუაშვილის სახელმწიფო ინსტიტუციებთან ურთიერთობის უცნობ გარემოებებს, დასკვნებს და მოლოდინებს. ფილმი დოკუმენტურად საჯაროდ პასუხობს საქმეზე მიეკრძოების ყველა კითხვას, რომელიც მომდინარეობს საქმის სასამართლო ეტაპზე არსებულ გავლენებზე, სახელმწიფოსა და გიორგი პაპუაშვილის ერთობლივი ძალისხმევით. შესაბამისად, ნაჩვენებია ყველა დოკუმენტი, რომელიც დაზარალებული მოქალაქის ქონებრივ უფლებებში აღდგენის იურიდიულ წინაპირობებს ქმნის, თუმცა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები, აღნიშნულზე მიზანმიმართულად სდუმდნენ.

ორგანიზაცია როლანდ ბლადადის საქმეზე ადვოკატირებას 2014 წლიდან ახორციელებს. ორგანიზაციამ 2015 წელს საქმეზე მოამზადა კვლევა, რითაც საქმე ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას გააცნო. საქმეზე ორგანიზაციას ამჟამადაც ინტენსიური ურთიერთობები აქვს საერთაშორისო და დიპლომატიურ კორპუსთან, ხოლო საქართველოს უზენაესს სასამართლოში საქმის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ორგანიზაციამ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა მოთხოვნის საფუძველზე, უკვე მოამზადა სპეციალური მოხსენება და მიეწოდათ დაინტერესებულ ინსტიტუციებს.





დეკემბერი, 2017 – ორგანიზაციამ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის 9 დეკემბრის არჩევნებზე შეფასება და სარეკომენდაციო წინადადებები გამოაქვეყნა. ორგანიზაციის შეფასებით, ასოციაციის 2017 წლის არჩევნებმა გამოკვეთა ცალკეული პროცედურული დარღვევები, პროცესის არაორგანიზებულობა, სამწუხარო ინციდენტები, არაკოლეგიალური ურთიერთობების მაგალითები, კანონიდან გამომდინარე სხვადასხვა სამართლებრივი დასკვნები, თუმცა არჩევნების შედეგები სრულად გამოხატავს საერთო კრებაზე რეგისტრირებული დელეგატების თავისუფალ ნებას, საარჩევნო კომისიის მიერ ხმების დათვლის პროცესი წარმართა გამჭვირვალე და მიუკერძოებელ გარემო პირობებში და არჩევნების დელეგიტიმაციის მიმართ არ არსებობს არავითარი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ორგანიზაციის დაკვირვებით, საარჩევნო კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს, ხოლო ცალსახად უნდა აღინიშნოს თავმჯდომარეობის კანდიდატებს შორის, კონსულსის გზით მიღებული 2017 წლის 9 დეკემბრის

საერთო კრების რეგლამენტის სამართლებრივი ხარვეზიანობა. რეგლამენტით მოწესრიგებული არ აღმოჩნდა, თუ რა წესის დაცვით და პროცედურული თანმიმდევრობით უნდა დაწყებულიყო ხმის დათვლის პროცესი. რეგლამენტით არ იყო გათვალისწინებული სხდომის მდივნის არჩევის საკითხი, რომელიც პირდაპირ იქნებოდა პასუხისმგებელი საარჩევნო პროცესის ადმინისტრირებაზე. **რეგლამენტი აღმოჩნდა პრინციპების დონეზე მომზადებული, რამაც გამოიწვია ხმის დათვლის პროცედურული მხარის გაჭიანურება, რასაც საფუძვლად უძღვოდა თავმჯდომარეობის კანდიდატების წარმომადგენლების მხრიდან ისეთი წინადადებების კენჭისყრაზე დაყენება, რომელიც არ გამომდინარეობდა რეგლამენტის მოთხოვნებიდან.** ამასთან, რეგლამენტით მკაფიოდ არ იქნა განსაზღვრული საარჩევნო კომისიის ფორს-მაჟორულ ვითარებაში მუშაობის წარმართვის საკითხები, როდესაც საარჩევნო კომისიის 15 წევრიდან 6 წევრმა უნდობლობის ნიშნად დატოვა კომისიის შემადგენლობა და საარჩევნო კომისია უფლებამოსილების გაგრძელების წინაშე აღმოჩნდა.



ორგანიზაციის დაკვირვებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არჩევნები არ გამოირჩეოდა პროფესიული კოლეგიალობის მაღალი სტანდარტით და ადგილი ჰქონდა ადვოკატისთვის შეუფერებელ ქცევებს, ერთმანეთის დაუშახურებელ შეურაცხყოფას, უხამსს გამონათქვამებს და პერსონიფიცირებულ თავდასხმებს თავმჯდომარეობის კანდიდატებსა და არჩევით ორგანოებში წარდგენილ პირებს შორის, რაც არ ემსახურება ადვოკატის ეთიკური ქცევის მოთხოვნებსა და დადგენილ წესებს. ამასთან, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ კოლეგიალური ურთიერთობები არ შეიმჩნეოდა, როგორც კომისიის წევრებს შორის, რომლებიც სხვადასხვა კანდიდატების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა, ასევე კანდიდატების მიერ წარმოდგენილ დამკვირვებლების ურთიერთობებში. საარჩევნო და

წინასაარჩევნო პროცესი დაეფუძნა პერსონიფიცირებული მხილების ინსტრუმენტებს, რამაც ძირითადად მოიცვა სოციალური მედია და მასობრივი-საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში, თავმჯდომარეობის კანდიდატები აქცენტს უფრო აკეთებდნენ არა საპროგრამო საკითხებზე, არამედ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი ადმინისტრაციის მიუღებლობაზე. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საარჩევნო პროცესში არსებობდა საარჩევნო პროგრამების და ამომრჩევლებთან შეხვედრის თანაბარი შესაძლებლობა, თუმცა ამ მიმართულებით, სტრუქტურირებული პროგრამა და გუნდი, ასოციაციის თავმჯდომარეობის მხოლოდ სამ კანდიდატს – დავით ასათიანს, დავით ლანჩავასა და ლევან ჯანაშიას გააჩნდა.





დაგვიკავშირდით



თბილისი, ზურაბ ქავჭავაძის ქ. N12



+995 322 95 35 18; +995 599 29 12 02



kbarristers.ge



prkbarristers@gmail.com



კაიკატიშვილი და ადვოკატები / kbarristers



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ბუნდი



კაიკატიშვილი & ადვოკატები
KAIKATSISHVILI & BARRISTERS

www.Kbarristers.ge

კაიკატიშვილი
& ადვოკატები



KAIKATSISHVILI
& BARRISTERS

www.Kbarristers.ge



ჩვენ თქვენთვის



გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია, კეთილსინდისიერი და კვალიფიციურია კლიენტის წინაშე



საშუალო, რომელიც უპირატესია, იგაბება კლიენტის საუკეთესო ინტერესების საფუძველზე



გამოცდილება, რომელიც ეფუძნება სიზუსტეს და კრებული უნარ-ჩვევებს, განსაზღვრავს შედეგებს



ფასი, რომელიც ქმნის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს ხელშეწყობად მართლმსაჯულებას!



პროფესია, რომელიც განაპირობებს ნდობას, ურთიერთობებს და ქმნის KBarristers!

მომსახურება



მომსახურება 24/7



წარმომადგენლობა საერთო სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე



იურიდიული მომსახურება საჯარო, ადმინისტრაციულ და კერძო პირებთან



წარმომადგენლობა არბიტრაჟში, დავების საბჭოებსა და ფინანსურ ინსტიტუტებთან



უფასო იურიდიული კონსულტაცია



ონლაინ კონსულტაცია



კორპორატიული მომსახურებები



რეგიონალური წარმომადგენლობა




წარმომადგენლობა ევროსასამართლოში



ლოგისტიკური საშუალება





საზოგადოება და ოჯახი სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში

დეკემბერი, 2017 – საქართველოს უზენაესი სასამართლომ სახელმწიფოსთან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის სადავო, ჩამორთმეულ ქონებაზე შუალედური გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც, საქმის არსებითი განხილვა 2018 წლის 24 იანვარს გაიმართება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება უკიდურესად მნიშვნელოვანია, რაც ხაზს უსმევს პალატის მიერ საქმისადმი მაღალ დამოკიდებულებას. მისივე განცხადებით, სასამართლოს საქმის ზეპირ სხდომაზე განხილვის მოტივაცია მხარეთა შორის მორიგების წინადადების განხილვის საკითხიდან გამომდინარეობს. როგორც ცნობილია, საქმეში არსებობს საქართველოს მთავრობის კანკარგულების პროექტი, რომელსაც ხელი პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს უნდა მოეწერა. აღნიშნული დოკუმენტით, როლანდ ბლადაძეს ჩამორთმეული ქონება სიმბოლურ ფასად – 1 ლარად უნდა დაბრუნებოდა, გიორგი პაპუაშვილისთვის კი – ალტერნატიული ფართი გადაეცათ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, მორიგების წინადადების აღსრულებაზე, პროცესის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე, უარი განაცხადა, თუმცა საქმეში არსებობს მინისტრ გიორგი გახარიას და მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის ოფიციალური წერილები, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ დავა პროცესის მონაწილე ყველა მხარის ინტერესების დაცვით უნდა დასრულებულიყო. არჩილ კაიკაციშვილის თქმით, მხარე დაელოდება სამართალწარმოების პროცესს და იმოქმედებს მხარის საუკეთესო ინტერესებიდან. ამასთან, არჩილ კაიკაციშვილმა მიღებული გადაწყვეტილების გამო, მაღლობა გადაუხადა მოსამართლეებს და აღნიშნა, რომ სასამართლო სხდომა იქნება ღია და საჯარო, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს ექნება დასწრების შესაძლებლობა.

უზენაესმა სასამართლომ როლანდ ბლადაძის საკასაციო საჩივარი, არსებითი განხილვისთვის დასაშვებად, პრეცედენტული დავის სტატუსით, 2017 წლის 15 სექტემბერს მიიღო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან საქმეზე 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინების სარეზო-

ლუციო ნაწილში აღნიშნულია შემდეგი: „საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და დაადგინა: როლანდ ბლადაძის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნეს დასაშვებად“. სასამართლოს მიერ მითითებული კანონის თანახმად, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას“.

ცნობისთვის: 2017 წლის 1 ივნისს, სასამართლომ როლანდ ბლადაძის საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო. 2017 წლის 1 ივნისს მიღებული კიდევ ერთი განჩინებით – არ დაკმაყოფილდა როლანდ ბლადაძის შუამდგომლობა საქმიდან საქმის განხილველი მოსამართლეების, მაია ვაჩაძისა და ნუგზარ სხირტლაძის აცილებასთან დაკავშირებით, რასაც მხარის ადვოკატის, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის დასაბუთებული სამართლებრივი პროტესტი მოჰყვა. 2017 წლის 20 ივნისის სასამართლოს განჩინებებით, მაია ვაჩაძემ და ნუგზარ სხირტლაძემ საქმიდან თვითაცილება განაცხადეს. საქმე განმხილველი ახალი პალატისთვის გადაეცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძეს, რომელმაც განსაზღვრა ახალი შემადგენლობა – ნინო ბაქაქური (თავმჯდომარე), ბესარიონ ალავეძე და პაატა სილაგაძე. 2017 წლის 8 სექტემბრის განჩინებით, პაატა სილაგაძემ, აგრეთვე მიიღო საქმიდან თვითაცილების შესახებ გადაწყვეტილება და საქმის განმხილველი საბოლოო შემადგენლობა, ჩამოყალიბდა ნინო ბაქაქურის (თავმჯდომარე), ბესარიონ ალავეძისა და ზურაბ ძლიერიშვილის შემადგენლობით.

როლანდ ბლადაძე თავისი სასარჩელო მოთხოვნებით მოითხოვს, ბათილად იქნეს 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური, გიორგი პაპუაშვილი აღიარებულ იქნეს არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად. საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლიანობაზე მიუთითებს.



თემურ ბასილიას განაჩენის გადახედვა კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ როგორ ექცეოდნენ უდანაშაულო ადამიანებს

დეკემბერი, 2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერისა და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწის თემურ ბასილიას 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენის გადახედვის საქმეზე დამასრულებელ სასამართლო სხდომას 2018 წლის 4 იანვარს გამართავს. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მთავარი პროკურატურის ახალი გამოძიების პირობებში დადგინდა, რომ 2006 წლის 25 თებერვალს, გენერალური პროკურატურის მიერ თაღლითობის და დოკუმენტის გაყალბებისთვის დაკავებული იყო სს „ინტელექტბანკი“-ს გენერალური დირექტორი გოგი სალია და ცენტრალური ფილიალის მმართველი ლევან კვირიკაშვილი. მაშინდელ პროკურატურას სურდა დანაშაულში გამოეყვინა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი თანაშემწე თემურ ბასილია, რომელიც დაპირისპირებული იყო იმჟამინდელ ხელისუფლებასთან. ამ მიზნით, პროკურატურის ხელმძღვანელი პირების ორგანიზებით, საპატიმრო დაწესებულებაში, ფარულად, კანონდარღვევით შეიყვანეს „ინტელექტბანკის“ აქციონერები, რომლებმაც პატიმარ გოგი სალიას და ლევან კვირიკაშვილს გადასცეს პროკურატურის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ხელი მოეწერათ იმ ჩვენებაზე, რომელსაც მათ გამოძიება წარუდგენდა, თითქოსდა თემურ ბასილია „ინტელექტბანკისთვის“ დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ, ბანკისგან ქრთამის სახით იღებდა ფულად თანხებს. პროკურატურისთვის ასეთი ჩვენების მიცემის შემთხვევაში კი მათი საქმე დადებითად გადაწყდებოდა და ისინი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დატოვებდნენ საპატიმრო დაწესებულებას. პროკურატურის მიერ ასეთი მეთოდებით ყალბი ჩვენების მიღების შემდეგ, თემურ ბასილია უკანონოდ იქნა მსჯავრდებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ 14 სექტემბრის სხდომაზე გაიზიარა თემურ ბასილიას ინტერესების დამცველთა შუამდგომლობა და სისხლის სამართლის საქმეს, ინფორმაციის სახით დაურთო დამატებითი მასალები.

კერძოდ, 2009 წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ქ. ფოთში და საქართველოს პარლამენტში, 2010 წელს ქართული ტელევიზიების მხრიდან მომზადებული სიუჟეტების კრებული, თემურ ბასილიას უცხოეთში თითქოსდა დაკავებისა და საქართველოში ექსტრადიციის თაობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაერო-ს ცენტრალური აზიის გენერალური მენეჯერის წერილი თემურ ბასილიას უკანონო დევნის შესახებ და სხვა. თემურ ბასილიას ინტერესების დამცველთა განცხადებით, წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, თუ სხვადასხვა მედია საშუალებებსა და ტელეგადაცემებში, როგორი უსაფუძვლო და ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობდა თემურ ბასილიას წინააღმდეგ, მათ შორისაა ყოფილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლების და მისი უშუალო მითითებების საფუძველზე. ცნობისთვის: 2011 წლის 26 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ თემურ ბასილიას მიაწიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო თემურ ბასილიას საქმეს მოსამართლეების: მაია ხოლოაშვილი (თავმჯდომარე), შორენა ყაველაშვილი და მზია ლომთათიძე შემადგენლობით განიხილავს. საქმე აღნიშნულ კოლეგიას მას შემდეგ გადაეცა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლომ თემურ ბასილიას ბრალდების გადახედვის თაობაზე განჩინება მიიღო. მანამდე, 2017 წლის 27 იანვარს, მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მიიღო დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, რომლითაც თემურ ბასილია, წინა ხელისუფლების პირობებში წარდგენილ ბრალდებაში, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

თემურ ბასილიას კანონიერ ინტერესებს, ადვოკატები: არჩილ კაიკაციშვილი და გია ტაბლიაშვილი წარმოადგენს, ხოლო საქართველოს პროკურატურის პოზიციას პროკურორები – გიორგი მიქავა და ანრი არსენიშვილი.

ლისის ტბა წართმეულია, დაზარალებული ბიზნესმენი კი - დაზარალებულად ცნობის გარეშე

ნოემბერი, 2017 – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის მიმართ, ლისის ტბის წართმევის საქმეზე, ახალი მტკიცებულებები დასაშვებად მიიჩნია. ამ მტკიცებულებებით დგინდება, რომ ბიზნეს-პარტნიორებს, ქონებაჩამორთმეულ რამაზ ახვლედიანს და მამუკა ხაზარაძეს ლისის ტბის განვითარებისთვის, 2,715.000.00 მლნ ლარი გააჩნდათ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამი გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა რამაზ ახვლედიანის სასარჩელო მოთხოვნები: საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის #713 განკარგულების ბათილად ცნობა რამაზ ახვლედიანისთვის 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის გაუქმების ნაწილში და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ, ახალი ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. დავის მხარეები: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და მამუკა ხაზარაძის ს.ს. „ლისი ლეიქ დეველოპმენტია“.

საქმის მასალებიდან დადგენილია, რომ რამაზ ახვლედიანი 2006 წლის 4 ნოემბერს, იძლეული გახდა, თბილისის მაშინდელი მერიისა და მთავრობის სახელზე დაენერა განცხადება და ელიარებინა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა – ნაგებობები და რომელიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა. წერილობითი საწინააღმდეგოდ, რამაზ ახვლედიანმა უარი განაცხადა პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ 63,5 ჰა არასოსაფოლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზეც და ეკონომიკის სამინისტროსგან უკვე გამოსყიდულ

შენობა-ნაგებობებზეც. ამ განცხადებიდან მე-6 დღეს, 2006 წლის 10 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ახალი განკარგულება და 1999 წელს რამაზ ახვლედიანის მიერ შეძენილი და 2006 წელს პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემული ქონება, ჩამოერთვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ (გასაჩივრებულ) გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ შემდეგს: „საქმეში არსებული მასალების თანახმად, რამაზ ახვლედიანს სადავო ქონების საბოლოოდ საკუთრებაში გადაცემამდე, უნდა შეესრულებინა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა ამ უკანასკნელთა შესრულებამდე მან თავად განაცხადა უარი უძრავი ქონების მიღებაზე, ვინაიდან ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, არ შეეძლო შესრულებინა კონკრეტული პირობები/ვალდებულებები“. რამაზ ახვლედიანმა აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სასამართლოს არაერთი მტკიცებულება, მათ შორის ახალი დოკუმენტაცია წარუდგინა. საქმეს ამჟამად განიხილავს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტიც.

ორგანიზაციამ რამაზ ახვლედიანთან ერთად, 2017 წლის მანძილზე, არაერთხელ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქმეზე დაზარალებულად ცნობა მოუთხოვა, თუმცა უშედეგოდ. პროკურატურის მთავარი ამოცანაა, სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცეს 2006 წლის 4 ნოემბერს, რამაზ ახვლედიანის ფინანსურ პოლიციაში დაბარების ფაქტს, სადაც ბიზნესმენს დაანერინეს განცხადება ლისის ტბის სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობის თაობაზე, რაც არ ხდება. მხარემ პროკურატურას 2017 წლის 13 თებერვალს განცხადებით მიმართა და საქმეზე იმ პირთა მოწმის სახით დაკითხვა მოითხოვა, რომლებსაც უშუალო შემხებლობა გააჩნიათ ლისის ტბის წართმევის პროცესთან. 2017 წლის დეკემბერში, საქმეზე სპეციალური ანგარიში კიდევ ერთხელ გაეგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებს. ეს დავა 2018 წლისთვის, ორგანიზაციისთვის, ასევე პრიორიტეტული იქნება.





„ლაზიკა კაპიტალის“ საქმეზე გამოძიების გამჭვირვალობა არ არსებობს

ორგანიზაციამ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლაზიკა კაპიტალის“ საქმეზე საქართველოს პროკურატურის მხრიდან მიკერძოებულ სამართალწარმოების ფაქტებზე საუბრობს და ბიზნესის წინაშე ჩადენილი ფინანსური დანაშაულის გამოძიებას დაუყოვნებლივ მოითხოვს. ორგანიზაციის მომზადებული კვლევის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო პრეზენტაციის შემდეგ, მხარისთვის ცნობილი ხდება, რომ საქმე კვლავ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო-სვანეთის სამმართველოში დამისამართდა. საქმეს კვლავ იძიებს ლაშა ყოლბაია, ხოლო ზედამხედველი პროკურორი კვლავ მირანდა წერეთელია. იქედან გამომდინარე, რომ ბატონი ლაშა ყოლბაია და ქალბატონი მირანდა წერეთელი, ერთხელ უკვე მონაწილეობდნენ აღნიშნული საქმის საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების პროცესში, მხარეს გააჩნდა მათ მიმართ დასაბუთებული სამართლებრივი პრეტენზიები საქმის მიკერძოებით წარმართვასთან დაკავშირებით, ამ დასაბუთებების საფუძველზე, საქმე გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას, დღეს საქმის ხელმძღვრედ დაბრუნება ტერიტორიულ ორგანოში და მასზე კვლავ ზ/აღნიშნული გამოძიებლისა და ზემდგომი პროკურორის დანიშნება, მნიშვნელოვნად არღვევს საქმეზე სანდო საგამოძიებო მოქმედებების წარმართვისა და მიუხმრობელი გამოძიების პრინციპებს.

ორგანიზაციამ საგამოძიებო უწყებას ოფიციალური წერილით უკვე მიმართა და საქმის ტერიტორიულ ორგანოში ხელმძღვრედ დაბრუნების ფაქტზე სამართლებრივი დასაბუთება მოითხოვა, თუმცა ორგანიზაციამ საპასუხო პოზიციად მიიღო, რომ საქმეზე მიმდინარეობს ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ გამოძიების გამჭვირვალობა მიღწეული ვერ იქნება, ვიდრე საგამოძიებო მოქმედებებსა და საზედამხედველო უფლებამოსილებას ის პირები ახორციელებენ, რომელთა მიმართაც, კომპანიის პრეტენზიებს საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექცია ამჟამადაც სწავლობს.

ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მხრიდან, არ არსებობს დამაჯერებელი ერთი არგუმენტი, თუ რატომ ფერხდება პროკურატურაში მიმდინარე გამოძიება, ვინ მოქმედებს ბიზნესის წინააღმდეგ და მფარველობენ თუ არა საჯარო მოხელეები კომპანიის მიმართ ჩადენილ დანაშაულთან შესაძლო დაკავშირე-

ბულ პირებს. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილებისა და კომპანიის დაზარალებულად ცნობისთვის, გამოძიებას საკმარისზე მეტი მტკიცებულება გააჩნია. ამასთან, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოკვეთილია იმ პირთა სავარაუდო წერეც, რომელთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ფინანსური დანაშაულის ჩადენისას იკვეთება.

ორგანიზაციის კვლევამ აჩვენა, რომ ფინანსური დანაშაულის საქმეში 2013 წელს, ახალაღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოება გახდა 2008 წლის 26 დეკემბრის, 2009 წლის 1 ოქტომბრის, 2010 წლის 15 თებერვლის, 10 მარტის, 11 ივნისის, 3, 4 და 24 აგვისტოს სამსახურებრივი ელექტრონული მიმოწერის შინაარსი, რაც კომპანიისთვის ტოვებდა გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ იმჟამად ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ფლობდა ინფორმაციას და ასევე, დაკავშირებული იყო კომპანიაში ჩადენილ ფინანსურ დანაშაულთან. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 მარტის განჩინებაში ვკითხულობთ: „სს „ლაზიკა კაპიტალის“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების მოწმის სახით დაკითხვისას და სხვა მასალათა ერთობლიობით არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ სს „ლაზიკა კაპიტალის“ სესხის ოფიცერს სოსო ზარქუას და სს „ლაზიკა კაპიტალის“ ოპერაციების მენეჯერს ე. ც.-ს შორის 2008-2010 წლებში არსებობდა საბანკო-შიდა ქსელური დანაშაულებრივი მიმოწერები“.

ორგანიზაციამ სს „ლაზიკა კაპიტალის“ საქმეზე კვლევა 2017 წლის ივნისში გამოაქვეყნა. კვლევა მიწოდებულ იქნა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რომელმაც საქმიან წრეებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის, მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია. ორგანიზაციის შუალედური ანგარიში და გამოქვეყნებული კვლევის შედეგები, უკვე მიწოდდა საქართველოში დიპლომატიურ კორპუსს, ეროვნულ დონეზე მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებს, როგორიცაა The National Democratic Institute, International Republican Institute, humanrightshouse, FIDH, NHC, HRHF, OMCT და Amnesty International. საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს მონიტორინგის პროცესს. ორგანიზაცია ამ საქმეზე სამოქალაქო ადვოკატორების პროცესს, 2018 წელსაც გააგრძელებს.

დავა ზურაბ ჯაფარიძის მიმართ

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2017 წლის აგვისტოში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმების უხეში დარღვევის საფუძველზე, არ დააკმაყოფილა ორგანიზაციის სარჩელი ამჟამად პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ თავმჯდომარე ზურაბ ჯაფარიძის მიმართ, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა და ცისლისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. 2017 წლის 22 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსობრივი მხარის განმარტების დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ზურაბ ჯაფარიძის მხრიდან სადავო გამონათქვამები წარმოადგენდა აზრს, ხოლო ორგანიზაციის სარჩელი იურიდიულად ვერ ამართლებდნენ მოთხოვნის საფუძვლიანობას. პოლიტიკოსმა ზურაბ ჯაფარიძემ ორგანიზაციის მხრიდან ნინო გვენეტაძის სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევაზე შემდეგი განცხადება გააკეთა: „ეს არის წარდგენილი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია “ახალგაზრდა ადვოკატების” მიერ, რომელიც ყველა ინფორმაციით დასტურდება, რომ არის პირადად ღარიბაშვილის მიერ მართული“. პოლიტიკოსმა ორგანიზაციის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში, არ უარყო და არც დაადასტურა ორგანიზაციის მიმართ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ფაქტების არსებობა. ორგანიზაციამ დაასაბუთა, რომ მიადგა ზიანი და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის ნინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზურაბ ჯაფარიძის სადავო გამონათქვამი არ ამტკიცებდა მის ნამდვილობას და სადავო გამონათქვამები სარგებლობდა აზრის აბსოლუტური პრივილეგიით.

მოცემულ შემთხვევაში, საზოგადოების ყურადღებას უნდა დაუთმოს იმ ფაქტს, რომ მოსამართლემ მიიღო აშკარად დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება. საქმეზე სხდომა გაიმართა 2017 წლის 18 მაისს. სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხე. სასამართლოს შემოწმების შედეგად, აღმოჩნდა, რომ მხარეს წერილობითი ფორმით სხდომის გადადების თა-

ობაზე რეგისტრირებული განცხადებაც არ გააჩნდა. სასამართლომ მოისმინა მოსარჩელის შუამდგომლობა საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე და დაუსწრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე. მიუხედავად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ნორმატიული შინაარსის თანახმად, „თუ მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება“, მოსამართლე ქეთევან კუჭავამ კანონით არარსებული მოქმედება განახორციელა – საქმეზე მისაღები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოცხადება გადადო. კანონის თანახმად, ვინაიდან საქმეზე არსებობდა მოპასუხის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, უნდა მიღებულიყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ყველა სადავო გარემოება ითვლებოდა ორგანიზაციის სასარგებლოდ დამტკიცებულად, ხოლო ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 234-ე მუხლის თანახმად, „დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს 249-ე მუხლის მოთხოვნებს სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბების გარეშე“. სასამართლო მოიქცა პირიქით – დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსებობის მიუხედავად, არსებითად იმსჯელა სასარჩელო მოთხოვნებზე და მიიჩნია ისინი უსაფუძვლოდ, ხოლო ზურაბ ჯაფარიძის სადავო გამონათქვამები – აზრის თავისუფლებად. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ეს საქმე უკვე დასაშვებად იქნა ცნობილი. სხდომა 2018 წლისთვის გაიმართება.

დავა კვლევითი ცენტრის მიმართ

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წინააღმდეგ, კომპანია „ქისკოს“ საქმეზე, პრეცედენტული დავა მოიგო. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით, სრულად დაკმაყოფილდა „ქისკოს“ სასარჩელო მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, კომპანია აუნაზღაურებს ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებულ ზიანს და იმავდროულად, ბათილად იქნა ცნობილი კომპანიის მიმართ უსაფუძვლოდ

დაკისრებული პირგასამტეხლო. ორგანიზაციამ სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიმართ სასამართლოს მას შემდეგ მიმართა, რაც მხარეთა შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულება შესაბამისად, „შპს ქისკომ“ სრულად და ჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, უზრუნველყო კონკრეტული ტექნიკური საჭიროებების მინოდება და მონტაჟი, თუმცა შემსყიდველმა არ განახორციელა საქონლის მიღება და უარი განაცხადა შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებაზე. საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა ცნობილი, რომ საქონლის მიღებასა და შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებაზე უარის თქმა, მაშინ, როდესაც შპს „ქისკომ“ სრულად წარმოადგინა საქონელი, რომლის ტექნიკური მახასიათებლები შეესაბამებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს, წარმოადგენდა კანონისა და ხელშეკრულების უხეშ დარღვევას. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცენტრს დაეკისრა ხელშეკრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება 5821,50 ლარი და გაუქმდა კომპანიის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლო 1123,36 ლარის ოდენობით. საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მოცემულ ეტაპზე, კანონიერ ძალაში შესული არ არის, ვინაიდან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა. პროცესები 2018 წელს გაიმართება.

უვალო პატიმარს სასჯელი შეეცვალა

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ჩართულობის შედეგად, უვალო პატიმრობაში ქართველ სამხედრო გივი დუმბაძეს, სასჯელი ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეეცვალა. გივი დუმბაძის საქმეზე ორგანიზაციამ სპეციალური კვლევა 2015 წელს მოამზადა და სამოქალაქო ადვოკატირების პროცესი დაიწყო. პრეზიდენტის აქტით, გივი დუმბაძეს უვალო თავისუფლების აღკვეთა ვადიანი თავისუფლების აღკვეთით შეეცვალა. თავისუფლების აღკვეთის ვადად განისაზღვრა 15 წელი, ხოლო პატიმრობაში ყოფნის ბოლო ვადად განისაზღვრა 2023 წელი. ამ თვალსაზრისით, გივი დუმბაძემ სასჯელის #8 სასჯელაღსრულების დანესებულება მომდევნო 6 წლის განმავლობაში უნდა დატოვოს. ორგანიზაცია გივი დუმბაძის შეწყალების ფაქტს მნიშვნელოვან წარმატებულ გადაწყვეტილება აფასებს და გააგრძელებს მუშაობას გივი დუმბაძის უკანონო მსჯავრდების სრული გადახედვისთვის. ამასთან, ორგანიზაცია დეტალურად შეისწავლის, თუ რა საფუძვლებით არ მოხდა გივი დუმბაძის შეწყალება სრული მოცულობით და შეწყალების კომი-

სიასთან გააგრძელებს ინსტიტუციურ დიალოგს. გივი დუმბაძის მიმართ, პოლიტიკური მოსაზრებით, განხორციელებულია იძულება, დევნა და დღემდე იმყოფება უკანონო პატიმრობაში. გივი დუმბაძე წარმოადგენს 2003-2012 წლების მმართველობის მსხვერპლს, ვინაიდან სასჯელს იხდის დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია, მისი საქმე ექვემდებარება სრულ გადახედვას. მისი დაკავების რეალური მიზეზი გახდა გენერალ რომან დუმბაძის ლიკვიდაციის დავალებაზე უარის თქმა. გივი დუმბაძემ უარი განაცხადა მოსკოვში წასვლაზეც და რომან დუმბაძის ჯერ თვალთვალზე, შემდეგ ლიკვიდაციაზე. შესაბამისად, წინა ხელისუფლების საგამოძიებო უწყებების მხრიდან და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, მას უვალო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

დავა „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მიმართ

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2017 წლის მარტში, ქართულ საბანკო სფეროში მორიგი ხმაურიანი გათავისუფლებისა და შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით, მორიგი სასამართლო დავა წამოიწყო. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე, რომელიც ეხება სააქციო საზოგადოება „ვითიბი ბანკ ჯორჯიადან“ ცენტრალური ფილიალის საოპერაციო განყოფილების ანგარიშების მენეჯერის გათავისუფლებას. საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მენეჯერის გათავისუფლების ნამდვილი მიზეზი გახდა ბანკის კონკრეტული თანამშრომლებისა და მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან სავარაუდოდ არაერთგზის გამოხატული სავარაუდოდ დამამცირებელი, ღირსების შემლახველი და შეურაცხმყოფელი მოპყრობა, რასაც საფუძვლად უდევდა მოსარჩელის სოციალური კუთვნილება. ბანკმა არ მოახდინა მენეჯერის არც ერთ წერილობით მიმართვაზე რეაგირება. მოკვლევის გარეშე დარჩა დისკრიმინაციის ფაქტები. სასამართლოში წარდგენილია მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ ბანკის კონკრეტული პირების უფლებამოსილების გადაჭარბებას. ორგანიზაცია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვს აღნიშნული პირების მონის სახით დაკითხვას. საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ გათავისუფლების შესახებ ბრძანება მენეჯერმა მხოლოდ ორგანიზაციის ჩარევისა და წარმომადგენლობის შემდეგ, 2017 წლის 27 თებერვალს მიიღო. ბრძანება გათავისუფლების შესახებ დათარიღებულია 2015 წლის 23 თებერვლის მდგომარეობით, როცა ბანკმა მხარეს 24 თებერვალს შეატყობინა მოსალოდნელი გათავისუფლება 2015 წლის 1 მარტიდან, თუმცა არ შე-

ატყობინა, რომ ბანკს მისი გათავისუფლების თაობაზე ბრძანება უკვე მიღებული ჰქონდა. ბანკს აღნიშნული ვალდებულება გააჩნდა შინაგანაწესის თანახმად. ბანკმა პირი ჯერ გაათავისუფლა, ხოლო შემდგომ შეატყობინა შრომითი ურთიერთობის გაგრძელებაზე უარის თქმის თაობაზე.

ორგანიზაცია სასამართლოს მეშვეობით ითხოვს საქმეზე დისკრიმინაციის ფაქტის დადგენას, სადავო ბრძანების გაუქმებას, სამსახურში აღდგენას, მორალური ზიანის ანაზღაურებას და მენეჯერის მიმართ სარეკომენდაციო წერილი-ცნობის გაცემას. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები „პროკრედიტ ბანკთან“ 2014-2016 წლებში წარმოებული დავის იდენტურია და ორგანიზაცია მოსალოდნელი სასამართლო სხდომების თაობაზე, საზოგადოების სრულ ინფორმირებას მოახდენს. ამ საქმეზე სასამართლოს პირველი სხდომა 2018 წლის თებერვალში გაიმართება.

დავა თავდაცვის სამინისტროს მიმართ

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2017 წლის ივლისში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 140 000 ლარის მოთხოვნის დაკისრებაზე, დავა მოუგო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივლისის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებული 2017 წლის 5 აპრილის განჩინება. საქმე ეხებოდა ინდ. მეწარმის მიმართ 140 000 ლარის დაკისრების მოთხოვნას, სადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დავაზე სასამართლოს ყველა ინსტანცია წააგო. სამინისტროსა და ინდ. მეწარმეს შორის 2004 წლის 26 ოქტომბერს ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმადაც, ინდ. მეწარმეს სამინისტროსთვის, 140 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ, უნდა მიეწოდებინა საქონელი (ქურთუკი და შარვალი დათბუნებული, საწვინარი ლაბადა, ფეხსაცმელი მაღალყელიანი, საძილე ტომარა). ინდ. მეწარმემ სამინისტროს 2005 წლის ივნისში მიაწოდა 26 000 ლარის საქონელი, ხოლო ვალდებულების შესრულება დარჩენილ ნაწილში შეუწყვიტა გაქვითვით, ვინაიდან სამინისტროს ინდ. მეწარმის მიმართ, სხვა ხელშეკრულებების საფუძველზე, წარსულში მიწოდებული იდენტური საქონლის გამო, თანხები გადახდილი არ ჰქონდა. სასამართლოებმა სახელმწიფოს სარჩელი, მათ შორის ხანდაზმულობის ვადების გასვლის გამო, არ დააკმაყოფილეს. მიღებულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია,

რომ 2004 წლის 26 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2004 წლის 2 ნოემბერი. შემდგომში, ინდ. მეწარმემ ვალდებულების შესრულების დაპირება განხორციელა 2005 წლის 17 ივნისს და 2005 წლის 6 ივლისს მიაწოდა კიდევ ნაწილი საქონელი. ამდენად, ყველაზე გვიან ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა და ხელთავიდან დაიწყო 2005 წლის 6 ივლისიდან, სახელშეკრულებო ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა გავიდა 2008 წლის 6 ივლისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კი სარჩელი აღძრა 2015 წლის 16 ივნისს, რაც მოთხოვნის საფუძვლიანობას გამოირიცხავდა.

დავა განათლების სამინისტროს მიმართ

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაციის დავაზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო კონკურსში გამოვლენილი გულგრილი დამოკიდებულება, არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ფაქტი და თანხების უკან დაბრუნების უსაფუძვლობა დაადგინეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე აღნიშნულია, რომ „საქმის მასალებით უდავოდ არის დადგენილი, რომ სამინისტროს მიერ თანხის გადარიცხვა მოხდა გამგზავრების დღეს – 2015 წლის 24 მარტს და ასოციაციას ჰქონდა რამოდენიმე საათი იმისათვის, რომ მოეწესრიგებინა სხვადასხვა სახის საორგანიზაციო საკითხები, როგორცაა 14 ბავშვის გამგზავრება საზღვარგარეთ, მათ შორის განეხორციელებინა ბილეთების შეძენა, სასტუმროს დაჯავშნა და სავიზო მომსახურება და ა.შ., რისთვისაც საჭიროა დროის გარკვეული პერიოდი და როდესაც სამინისტროსთვის ცნობილი იყო ღონისძიების გამართვის თარიღი – 2015 წლის 25 მარტი და თანხის გადარიცხვას ახორციელებს წინა, გამგზავრების დღეს – 24 მარტს, მისთვის კი ცნობილია, რომ თანხის გადარიცხვის შემდგომ მოსაწესრიგებელია მთელი რიგი ღონისძიებები, ამ პირობებში, ასოციაციისთვის მიცემული დრო არასაკმარისია და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ჩარიცხვა ვერ განიხილება წინასწარ ანაზღაურებად. თანხის 2015 წლის 24 მარტს დარიცხვის გამო დამატებით საჭირო გახდა სასყიდლიანი სავიზო მომსახურების მიღება, რამაც გამოიწვია ხარჯის გაზრდა – 1224.21 ლარით, რაც ასოციაციისთვის ბრალეულ ქმედებად ვერ განიხილება და მითითებული თანხა წარმოადგენს დანართით

გაუთვალისწინებელ მიზნობრივ ხარჯს. ამასთან, დადგენილია შემდეგი გაუთვალისწინებელი მიზნობრივი ხარჯის არსებობაც. როგორიცაა: თარჯიმნის მომსახურება 627.50 ლარის ოდენობით, საკომისიოს ხარჯი 200.47 ლარის ოდენობით, ტრასპორტირების ხარჯი – 770 ლარის ოდენობით, ინტერნეტით სარგებლობის ხარჯი – 99.94 ლარის ოდენობით, დაზღვევის ხარჯი – 100.65 ლარის ოდენობით, კონვერტაციის გამო ხარჯი – 88 ლარის ოდენობით, მითითებული ხარჯის გაზრდა – ასევე ვერ განიხილება ასოციაციის ბრალეულ ქმედებად და მითითებული თანხაც წარმოადგენს გაუთვალისწინებელ მიზნობრივ ხარჯს. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ მითითებული თანხების ნაწილში გაღებული ხარჯი ასოციაციის მიერ მიზნობრივად არის გახარჯული და არ ექვემდებარება დაბრუნებას, რამდენადაც, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ. ათენში 2015 წლის 25 – 30 მარტს საერთაშორისო კონკურსში საქართველოს მოსწავლეების მონაწილეობასთან დაკავშირებული ღონისძიების დაფინანსება, რისთვისაც ასოციაციის მიერ 33 275 ლარიდან გახარჯულია 28 377 ლარი, ამდენად ასოციაციის მიერ დამატებით გაწეული ხარჯი, სადავო – 2236 ლარი წარმოადგენს გაუთვალისწინებელ ხარჯს და არა არამიზნობრივ ხარჯს, რამდენადაც, ფაქტობრივი დანახარჯი არ გასდენია და მოემსახურა ხელშეკრულების საგანს. შესაბამისად, იგი არ უნდა იქნეს მიჩნეული არამიზნობრივ ხარჯად და არ ექვემდებარება დაბრუნებას“.

დავა ცესკო-სთან და სწავლების ცენტრთან

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მხრიდან მიღებულ განჩინებას გამოეხმაურა, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ორგანიზაციის საკასაციო საჩივარი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიმართ, ე.წ. „ჩანყობილი გრანტების“ საქმეზე და აღნიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებამ ერთმნიშვნელოვნად სახიფათო პრაქტიკა შექმნა, როდესაც საჯარო უწყებებს ადმინისტრაციული სამართალწამოების პროცესში, უფლება ექნებათ, დასაბუთების გარეშე, სხდომაზე არ დაუშვან საკითხის განხილვით დაინტერესებული პირები. ორგანიზაციამ გაასაჩივრა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 5 ნოემბრის ადმინისტრაციულ სხდომაზე ჩადენილი ქმედება. ცესკო–მ ადმინისტრაციულ სხდომაზე, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის დროს, მოულოდნელად, დარბაზიდან გააძევა ორგანიზაცი-

სტრატეგიული სამართალწარმოება

ის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, მთავარი იურისტი და იურისტი. ორგანიზაციის თანამშრომლები, კანონის თანახმად, წარმოადგენდნენ დაინტერესებულ პირებს და სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ გავლენას ახდენდა მათ ინტერესებზე. შესაბამისად, ორგანიზაციამ საერთო სასამართლოებს მიმართა, სადავო გახდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფის დარღვევა. თბილისის საქალაქო სასამართლომ და თბილისის სააპელაციო სასამართლომ, თავიანთ გადაწყვეტილებებში, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად აღნიშნეს, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაარღვია კანონი და არ უზრუნველყო ადმინისტრაციული სხდომის საჯაროობის კონსტიტუციური პრინციპის დაცვა. მიუხედავად სასამართლოების ასეთი მიდგომისა და მსჯელობისა, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების მიუხედავად, ბათილად არ იქნა ცნობილი ცესკო–ს სხდომაზე მიღებული განკარგულება. სასამართლოების პოზიცია დაეფუძნა ერთადერთ გარემოებას, რომ დარღვევის მიუხედავად, ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შეძლო საკუთარი პოზიციების დაცვა და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობაც. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა გაიზიარა საკასაციო სასამართლომ, რომელმაც დამატებით აღნიშნა, რომ საჭირო იყო უფლების დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ სარჩელით მიემართა თავად ორგანიზაციის იმ თანამშრომლებს, რომელთა სხდომაზე დასწრება შეეზღუდათ. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ დაინტერესებული პირების სამართლებრივი პრეტენზიები უნდა წარდგენოდათ სასამართლოს და საკმარისი არ გახლდათ მხოლოდ ორგანიზაციის სარჩელი. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ სხდომაზე მიღებული აქტების ბათილად ცნობის არსებითი საფუძვლები არ გამოკვეთილა, ვინაიდან ადმინისტრაციულ სხდომებზე საჯაროობის პრინციპის დარღვევის ხარისხს არსებითად არ შეუღალავს პროცესით დაინტერესებული პირების ინტერესები. სამწუხაროდ, სასამართლოებმა საჯაროობის კონსტიტუციური პრინციპის ხელყოფის ლეგიტიმური საფუძველი შექმნეს და მათი გადაწყვეტილებებით, მთლიანად საზოგადოების კანონიერი ინტერესები დგას საფრთხის ქვეშ.

დავა საჯარო სკოლის მიმართ

„ახალგაზრდა ადვოკატების“ დახმარებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის #140 საჯარო

სკოლა გათავისუფლებულ პედაგოგს სამსახურში აღდგენს, ხოლო გადანაცვეტილების მიღების მდგომარეობით, 18,178 ათასს ლარს, იძულებითი განაცდურის გამო გადაუხდის. ორგანიზაციის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის #140-ე საჯარო სკოლის დირექტორის 2014 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება სკოლის მათემატიკის მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. სკოლის მხრიდან პედაგოგის გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები გახდა სკოლის შინაგანანგისით პედაგოგის მხრიდან მოსწავლეზე ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების სავარაუდო ფაქტი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სრულად იქნა გაზიარებული სკოლის მტკიცება და არ დაკმაყოფილდა გათავისუფლებული მასწავლებლის სარჩელი. ორგანიზაციამ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების კვლევის, მტკიცებულებათა ერთობლიობისა და მხარეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე, სრულად დაასაბუთა პირველი ინსტანციის სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა და პედაგოგის გათავისუფლების უკანონო ხასიათი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა გათავისუფლების უკანონობა მისი თანმდევი მიზეზ-შედეგობრივი საფუძვლებიდან გამომდინარე და მიიღო გადაწყვეტილება სადავო გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის, სკოლის მათემატიკის პედაგოგის სამსახურში აღდგენისა და 2014 წლის დეკემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, იძულებითი განაცდურის გადახდევინებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის ბედი, 2018 წლის იანვარში დადგინდება.

დავა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ

„ახალგაზრდა ადვოკატების“ დახმარებით, ლანჩხუთის მაგისტრმა სასამართლომ 2017 წლის ოქტომბერში მიიღო განჩინება და სესხის ხელშეკრულების შესრულების განსჯადობის საკითხზე, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. შესაბამისად, მოქალაქის მიმართ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სარჩელი, სასამართლომ განუხილველი დატოვა.

სასამართლომ სამართლებრივად შეაფასა საქმის მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დარჩენილიყო განუხილველი შემდეგი სამართლებრივი საფუძვლით – სასამართლომ მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ უნდა ყოფილიყო, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული სამართლის წყაროებთან შესაბამისობის კუთხით და შეფასებულიყო ყოვლისმომცველად. მხარეებს უფლება აქვთ შეც-

ვალონ ტერიტორიული განსჯადობის მხოლოდ ორი ქვესახე – საერთო და ალტერნატიული განსჯადობა, მაგრამ მათ არ აქვთ განსაკუთრებული და გვარეობითი განსჯადობის შეცვლის უფლება ურთიერთშეთანხმებით, ვინაიდან განსჯადობის ეს სახეები კანონით პირდაპირ და უპირობოდაა განსაზღვრული და დადგენილი. გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალ-ურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება. შესაბამისად, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელების განსჯადი სასამართლო განისაზღვროს ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრულია დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალ-ურთიერთობიდან, რომელიც მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე მიკროსაფინანსო კომპანია მოითხოვდა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა ხელშეკრულება. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა იყო განსაკუთრებული განსჯადობა. სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხის ძირითად მისამართად მითითებული იყო ლანჩხუთი, თუმცა შესაგებელზე დართული დანართით დადგინდა, რომ მოპასუხე მუშაობდა თბილისში და მისი ფაქტობრივი მისამართი იყო – თბილისი. ასევე, სასამართლომ აღნიშნა, რომ კრედიტორის ადგილსამყოფელიც იყო თბილისი. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც მსესხებლის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი იყო ქ. თბილისი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულება (თუნდაც ნაწილობრივი – სესხის დაფარვის მიზნით თანხის შეტანის ჩათვლით) ლანჩხუთში განხორციელებულიყო. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. მართალია უწყებრივად დავა სასამართლოს ქვემდებარეა, მაგრამ იგი განხილულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით. ამიტომაც, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სარჩელი დარჩა განუხილველი.



„ახალგაზრდა ადვოკატები“ აჯილდოვებს „ნომინანტები და ნომინაციები - 2017“

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – მცხეთის რაიონული სასამართლო;
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
3. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
4. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“;
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – „CsoGeorgia.org“;
7. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – ახალი ამბების სააგენტო „მედიანიუსი“;
8. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი,
9. „საზოგადოების ხმა“ – გადაცემა „რეაქცია“, ტელეკომპანია „პირველი“;

„თავისუფალი სიტყვის დამცველი 2017“

1. ირაკლი ჩიხლაძე, ტელეკომპანია „იმედი“;
2. მაია მიშელაძე, გაზეთი „ვერსია“;
3. ნინო მიქიაშვილი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი;
4. ბელა გელაშვილი, ტელეკომპანია „იბერია“;
5. გურამ როგავა, საზოგადოებრივი მაუწყებელი
6. სოფიო ნიაური, ტელე/რადიო „ობიექტივი“;
7. ვიქტორია ქათამაძე, სააგენტო „პირველი“;
8. რუსუდან ოქრუაშვილი, სააგენტო „გურიანიუსი“
9. ალექო ჩუბინიძე, სააგენტო „ნიუსპრესი“;
10. ბაჩანა ჯინჭარაძე, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“;
11. იზა შაქარაშვილი, ახალი ამბების სააგენტო „კვირა“

1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – გია ტაბლიაშვილი, ადვოკატი.



ახალგაზრდა ადვოკატებმა 2016 წლის საქმიანობის შემაჯამებელ ღონისძიებაზე წარმატებული სასამართლო ინსტანცია, საჯარო და კერძო სფეროს წარმომადგენლები და ჟურნალისტური კორპუსი სპეციალური ნომინაციებში დაჯილდოვეს. ორგანიზაციამ 2014 წლიდან საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, როდესაც წლის საქმიანობის ღონისძიებაზე აღინიშნება პროფესიული წრისა და იმ ინსტიტუტების დამსახურებული როლი, რომლებმაც ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პროცესში ან საზოგადოებრივი მაღალი ნდობის პირობებში საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები კეთილსინდისიერად შეასრულეს. ორგანიზაციის აღმასრულებელი გუნდის გადამწყვეტილებითა და ორგანიზაციის მიერ დამკვიდრებული, უცვლელი ნომინაციებით, „ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ 2016 წლის შეფასებისთვის, ნომინანტები და გამარჯვებულები შემდეგი უწყებები, ინსტიტუტები და საქმიანი სფეროს წარმომადგენლები გახდნენ:

1. „ლია სასამართლო ინსტანცია“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო;
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
3. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტო;
4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – „საქართველოს რკინიგზა“;
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – „ქალთა ფონდი საქართველოში“;
7. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – ახალი ამბების სააგენტო „კვირა“ და „კვირას-მედიაკლუბი“;
8. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – ტელეკომპანია „იბერია“, გადაცემა „ბიზნეს კოდი“;
9. „საზოგადოების ხმა“ – რადიო პალიტრა, გადაცემა: „360“;
10. „თავისუფალი სიტყვის დამცველი 2016“
 - მაცაცო გახოკიძე, ტელე/რადიო „ობიექტივი“;
 - თამთა კაკაურიძე, სააგენტო „გურიანიუსი“;
 - ნათია კოპალიანი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
 - ჯაბა ხუბუა, გაზეთი „საველ დასავალი“;
 - მანანა ცუხიშვილი, „მთავარი გაზეთი“;
 - ნინე სტეფანიშვილი, სააგენტო „რეპორტიორი“;
 - გენო ოსიყმაშვილი, ტელეკომპანია „GDS“;
 - სალომე გოგოხია, ტელეკომპანია „მანეტრო“.
11. „ორგანიზაციის მეგობარი“
 - ლია მუხაშვერია, ევროსასამართლოს ექსპერტი, უფლებადამცველი;
 - ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, საზოგადოებას აგრეთვე შეახსენებს 2015 და 2014 წლებში დასახელებულ და გამარჯვებულ უწყებებსა და პროფესიული წრეების წარმომადგენლებს.



2015 წელი

1. თბილისის საქალაქო სასამართლო – „ღია სასამართლო ინსტანცია“;
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო – „ყველაზე ღია საჯარო უწყება“;
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი – „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“;
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო – „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“;
5. „ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი-AC-ICC“ – „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“;
6. სააგენტო „პირჭელი“ – „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“;
7. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, მთავარი რედაქტორი ზურაბ კუკულაძე – „თავისუფალი სიტყვის დამცველი 2015“;
8. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ჟურნალისტი ლელა გოგოლაძე – „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2015“;
9. გაზეთი „ალია“, ჟურნალისტი დიანა ლიპარტელიანი – „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2015“;
10. ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი – „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2015“;
11. გაზეთი „კვირის ქრონიკა“, ჟურნალისტი ლევან ჯავახიშვილი – „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2015“;
12. ჟურნალისტი დარჩინა დავითაძე – „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2015“;
13. ტელეკომპანია „მანეტრო“, გადაცემა „ბიზნეს-კონტაქტი“ – „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“;
14. რადიო „იმედი“ – „საზოგადოების ხმა“;
15. „ორგანიზაციის მეგობარი“ – ზაზა ხატიაშვილი, ლია ელიავა

2014 წელი

1. თბილისის საქალაქო სასამართლო – „საუკეთესო სასამართლო ინსტანცია ოპერატიული საჯარო ინფორმაციისთვის“;
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – „ყველაზე ღია საჯარო უწყება“;
3. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო – „ყველაზე კომუნიკაბელური სამინისტრო“;
4. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“;
5. შპს „საქართველოს ფოსტა“ – „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“;
6. ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი – „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“;
7. პრეს-კლუბი „რეპორტიორი“ – „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“;
8. ახალი ამბების სააგენტო „კვირა“, ჟურნალისტი მარიამ ზედგინიძე – „თავისუფალი სიტყვის დამცველი 2014“;
9. გაზეთი „ქრონიკა“, ჟურნალისტი თამარ ბატიაშვილი – „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2014“;
10. გაზეთი „ქართული სიტყვა“, ჟურნალისტი ნათია გოგიტიძე – „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2014“;
11. ჟურნალისტი თამარ ლევანურიძე – „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2014“;
12. საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა „მომამე“ – „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“;
13. საზოგადოებრივი რადიო 1 – „საზოგადოების ხმა“;
14. რადიო პალიტრა, გადაცემა „შუადღის ამბები განო და კოტე“ – „საზოგადოების ხმა“;
15. „ორგანიზაციის მეგობარი“ – სოფიო აზარიაშვილი (ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი 2013-2014 წლებში)

5 წელი საზოგადოებისთვის

ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ ორგანიზაციის ბიოგრაფიას და საქმიანობდნენ მაღალი პროფესიული სტანდარტებით. „ახალგაზრდა ადვოკატების“ სადამფუძნებლო საბჭოს წევრები და გუნდი, რომელიც 2012 წლის 9 ივლისიდან 2017 წლის მდგომარეობით:

სადამფუძნებლო საბჭო

არჩილ კაიკაციშვილი (2012 წლის 9 ივლისიდან – დღემდე)
მარიკა არევაძე (2012 წლის 9 ივლისიდან – დღემდე)
თინათინ ნიბლოშვილი (2012 9 ივლისიდან 2015 წლის 28 იანვრის მდგომარეობით)

ორგანიზაციის გუნდი (2012-2017)

გიორგი ბეზიაშვილი;
ნინო ჯაფარიძე;
სოფიო ლეჟავა;
სალომე კარანაძე;
რუსა მიქავა;
თაკო ბოჭორიშვილი;
ქეთი ლეკიშვილი;
გუკა ბაკურაძე;
ნინო ისაკაძე;
ანა კიკნაძე;
ჯაბა სირაბიძე;
ლევან ბერაძე;
მარიამ ნეფარიძე;
ნინო ლაჭავაძე;
გვანცა მეზერიშვილი;
სოფიო აზარიაშვილი;
სოფიო კვალიაშვილი;
კახი სანიკიძე;
ანა ბარათაშვილი;
სოფიო გოგნაძე;
ემილ კურბანოვი;
ანა რაიბული;

ირაკლი ლეკიშვილი
თეონა ბარბაქაძე;
ცაბო გუგუნაშვილი;
ლაშა ციბაძე;
მარი იობაშვილი;
ნინო ვალიკოვი;
ბექა ჯავახიშვილი;
სალომე გოგლიძე;
არჩილ ნადირაძე;
მარიამ სვიმონიშვილი;
გიორგი ჯოჯუა;
გიორგი გოგუა;
კოტე სალუქვაძე;
ლიკა მაჭუტაძე;
გულო არევაძე;
გულო კურბანოვი.
რუსლან ალექსიძე;
გიორგი ზოიძე;
გიორგი ლაბაძე;
მარიამ ფირცხალაიშვილი;
ია გოგნაძე;
მარიამ ხიზანიშვილი

ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერები

გიორგი ზოიძე (2016/03- დღემდე)
ცაბო გუგუნაშვილი (2014/09-2016/02)
სოფიო აზარიაშვილი (2013/07 – 2014/08)
ქეთი ლეკიშვილი (2013/04-2013/06)
გუკა ბაკურაძე (2013/01-2013/04)
თაკო ბოჭორიშვილი (2012/07-2012/12)









ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

მისამართი: თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა #12

ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;

იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი

დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ვებ-გვერდი: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhlagzradaAdvokatebi

ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“, ორთაჭალის ფილიალი

ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდულ არასამეწარმეო ორგანიზაციას და დაფუძნების დღიდან ერთ-ერთი აქტიური პოზიციის მქონე ორგანიზაციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ინტერესებისა და ინსტიტუციური რეფორმების შეფასების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2012 წლიდან წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრ ორგანიზაციას. 2012 წლიდან არის არასამეწარმეოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის“ თანადამფუძნებელი და წევრი. 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრ ორგანიზაციას. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი. 2014 წელს განეწიანდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში, ხოლო 2014-2016 წლებში საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. „ახალგაზრდა ადვოკატები“, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადამწყვეტილებით, დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან ორგანიზაცია მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, ორგანიზაცია მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში. 2015 წლის დეკემბრიდან მონაწილეობს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში. ამასთან, 2015 წლის 30 აპრილს, ორგანიზაციამ დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოციაციების ხელშეწყობის ხელმძღვანელად ევროკავშირის წევრობამდე“, რომელიც განახლდა 2016 წლის აპრილში გამოცხადებული კონკრეტული შედეგად. 2016 წელს, ორგანიზაცია ასევე მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში. 2017 წელს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი დასახელდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თვითმმართველი ორგანოს – სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ყურადღებით აკვირდება სასამართლო ხელისუფლების სისტემაში ცვლილებების პროცესს, აფასებს მიღებულ გადაწყვეტილებებს და ამზადებს რეკომენდაციებს მართლმსაჯულების აქტუალურ საკითხებზე, რომელიც არაერთხელ გამხდარა საზოგადოებრივი დისკუსიის საგანი. ამასთან, ორგანიზაციის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ინსტიტუციური დიალოგის პროცესში აქტიური სამოქალაქო მონაწილეობის უზრუნველყოფა, რაც მუდმივად გამოიხატებოდა საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციაზე ლია მუხაშვირას კანდიდატურის წარდგენით (2012 წ.), საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის კანდიდატურის წარდგენით (2015 წ.), საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თემო ჭეიშვილის კანდიდატურის წარდგენით (2016 წ.), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის კანდიდატურის წარდგენით (2016 წ.), საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად ქეთევან ბექაურის კანდიდატურის (2017 წ.) წარდგენით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის წარდგენით (2017 წ.). ორგანიზაცია აქცენტს აკეთებს პროფესიონალებზე და მიაჩნია, რომ გამოცდილი, კვალიფიციური და რეპუტაციის მქონე ადამიანების მხარდაჭერა, დღეს სახელმწიფოს ყველა იმ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ვალდებულებაა, რომლისთვისაც პრიორიტეტილია ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლიანი გარემოს უზრუნველყოფა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. ორგანიზაცია მიმართულია კვლევით საქმიანობაზე, ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, ამზადებს დასკვნებს, რეკომენდაციებს, საკანონმდებლო წინადადებებს, ჩართულია ახალგაზრდული პოლიტიკის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლებრივი რეფორმების შეფასებაში. ამ მიმართულებით, ორგანიზაცია 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მალაქი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონმდებლობაში მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანობის რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს ნესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამჟამად განახლებულია 2017-2018 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი ნესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, უხელმძღვანელებს ორი წლის ვადით არჩეული ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

